# საარბიტრო

სპორტული გაზეთი | შაბათი 24 მარტი 2001 №52 (1325) | ფასი 50 თეთრი



გიორგი ქინქლაძე, შესაძლოა, მინდორს რუმინეთთან თამაშით დაუბრუნდეს

# ლიარს! რუმინეთი 300 000

**გერმანულ** ჰენეფში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს ნაკრებმა გუშინ კვლავაც ორჯერ ივარჯიშა. მწვრთნელებს დაგეგმილი კი ჰქონდათ, ორად გაყოფილი გუნდი ეთამაშებინათ, მაგრამ ავდრის გამო თავი შეიკავეს, ტრავმებს მოვერიდეთო.

დღეს კი ნაკრებს მხოლოდ რევაზ ძოძუაშვილი ავარჯიშებს — მისი კოლეგა დავით ყიფიანი ბუქარესტს მიემგზავრება რუმინეთ — იტალიის მატჩზე დასასწრებად.

გუშინვე ჩვენი ეროვნული გუნდი, ექიმებთან და დამხმარე პერსონალთან ერთად, საღამოხანს ჰენეფის ბაზის დარბაზში გამოიკეტა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასა და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას 28 მარტის მატჩზე ეთათბირა. ითქვა პრემიების თაობაზეც, რომელიც მოგების შემთხვევაში 300 ათასი ლარი იქნება:

— ოღონდ რუმინეთი დავამარცხოთ და პრემიას მეორე დღესვე დავარიგებთ — გვითხრა ფედერაციის გენმდივანმა, როცა ჰენეფში შევეხმიანეთ.

მისივე თქმით, შეკრებას უკვე დაეთხოვა რიგის „სკონტოს" ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი. მიზეზი-დიაგნოზი — ტვინის შერყევა. გუნდიც 19 ფეხბურთელით განაგრძობს მზადებას.

თითქმის ორთვიანი იძულებითი დასვენების შემდეგ ნელ-ნელა მოღონიერდა გიორგი ქინქლაძე, რომელმაც, შესაძლოა, წლეულს პირველად სწორედ ნაკრებში ითამაშოს.

— მწვრთნელები კმაყოფილები არიან, ქინქლაძე დღითი-დღე უკეთ გამოიყურება და, ვიმედოვნებთ, 28 მარტამდე ჩვეულ ფორმასაც აღიდგენს — ესეც ვალერი ჩოლარიამ გვითხრა.

**ძობა ინასარიძე**

## სტეფანიას სეზონის რეკორდი

„ნიუ ჯერსი ნეთსის" ქართველმა ცენტრმა „ბოსტონ სელტიქსს" რვა ქულა ჩაუგდო

## კაცური გზა



ბორჯღალის კავშირი

**ვასილ კაცაძე**

# მოიგე ქალი!

დღეს ევროპაში საფეხბურთო შაბათობაა — შარშანდელ შემოდგომაზე დაწყებულ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს გამოზამთრებული ბებერი კონტინენტი გაზაფხულზე განაახლებს. დღეს გასამართ 22 მატჩიდან ჩვენს ყურადღებას უპირველესად საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელთა შეხვედრები იპყრობს. უნგრეთი ლიტვას მასპინძლობს, რუმინეთი — იტალიას. ჩვენ, ცხადია, ბუქარესტული ამბები უფრო გვაინტერესებს.

ლივერპულის „ენფილდ როუდზეც" დიდი ამბებია: შვედი სვენ გორან ერიკსონი ოფიციალურ შეხვედრაში დღეს პირველად უთავკაცებს ინგლისელებს, ასევე პირველად უკაპიტნებს თავის ქვეყნის ნაკრებს დევიდ ბექემი. ფინელებთან თამაში ბრიტანელთათვის თამაში არ გახლავთ — ვერ მოიგებენ და ცხოვრებასაც გაირთულებენ. ეტყობა, ამიტომაც, ერიკსონმა კევინ კიგანის დამკვიდრებული ბერულ-ასკეტური წესი განაგდო და ფეხბურთელებს პრემიად ცოლ-საყვარლებთან ნამატჩევს ნებივრობის უფლება დართო.



REUTERS ლივერპულიდან

ერთმანეთის მოიმედე ორი დებიუტანტი: დევიდ ბექემი და სვენ გორან ერიკსონი



REUTERS ბუქარესტიდან

რუმინელებთან თამაშის წინ იტალიელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ ჭეელობა გაიხსენა

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**იუგოსლავია 3:3 შვეიცარია**

0:1 მეიერი (23), 1:1 ბრნოვიჩი (33), 1:2 გრეკო (56), 2:2 დელიბაშიჩი (63), 2:3 გრეკო (69), 3:3 დელიბაშიჩი (74)

### II ჯგუფი

**კვიპროსი 0:1 ირლანდია**

0:1 ჯ. ობრაიენი (18)

### III ჯგუფი

**ჩრდილოეთ ირლანდია 0:2 ჩეხეთი**

0:1 ბაროში (47), 0:2 დროზნი (87)

**მალტა 0:0 დანია**

### IV ჯგუფი

**თურქეთი 0:1 სლოვაკეთი**

0:1 ბორბელი (39)

**შვედეთი 2:0 მაკედონია**

1:0 იბრაჰიმოვიჩი (34), 2:0 ფარნერუდი (42)

### V ჯგუფი

**სომხეთი 1:0 უელსი**

1:0 არამ აკოფიანი (83)

**უკრაინა 1:0 ბელარუსი**

1:0 მონაროვი (29)

### VI ჯგუფი

**შოტლანდია 0:1 ბელგია**

0:1 ტიუნისი (2)

**ხორვატია 2:1 ლატვია**

1:0 ოლიჩი (18), 2:0 დერანია (34), 2:1 კარლსონსი (81)

### VII ჯგუფი

**ბოსნია 0:0 ავსტრია**

### VIII ჯგუფი

**რუმინეთი 0:1 იტალია**

0:1 პირლო (20)

**უნგრეთი 4:1 ლიტვა**

1:0 საბიჩი (19), 1:1 ბუნოვსკისი (32), 2:1, 3:1, 4:1 საბიჩი (68, 72პ, 90)

### IX ჯგუფი

**ინგლისი 4:0 ფინეთი**

1:0 ვასელი (28), 2:0 ტერი (74), 3:0, 4:0 ამეობი (82, 90)

**გერმანია 8:0 ალბანეთი**

1:0, 2:0 ბიროფკა (42, 50), 3:0 ფ. ერნსტი (58), 4:0 ბრუნსი (64), 5:0 რანი (67), 6:0, 7:0, 8:0 ტიმი (80პ, 86, 88)



REUTERS

ბოსნია — ავსტრია 0:0. ბოსნიელი მირსად ბესლია (მარჯვნივ) და ავსტრიელი მანუელ ორტლეხნერი

# ლადისლაუ ბოლონი შემწუხებლებს ბუქარესტიდან თბილისში გამოექცევა

**ჩვენი** ეროვნული გუნდის მეტოქე რუმინეთის ნაკრები ჩარტერული რეისით თბილისს ხვალ შუადღისას ესტუმრება და „შერატონში" დაბინავდება. იქამდე კი დღეს რუმინელებს მძიმე მატჩი ელით იტალიელებთან და, ქართველთა ნაკრების მწვრთნელებისა არ იყოს, რუმინელთა თავკაც ლადისლაუ ბოლონისაც ურჩევია, ფეხბურთელები შემწუხებლებს იტალიასთან მატჩის მეორე დღესვე განარიდოს.

— ყველა შემთხვევაში, მოვიგებთ თუ წავაგებთ, ჯობს, ბუქარესტი სწრაფად დავტოვოთ და თბილისში გავემგზავროთ. აქ მოთამაშეებს შეაწუხებენ. ოჯახის წევრები და მეგობრები ფეხბურთელებს მონატრებულნი არიან და ბუქარესტში რომ დავრჩეთ, მათ მოსვენება არ ექნებათ, საქართველოში კი წყნარად, ჩვენთვის ვიქნებით — თქვა ლადისლაუ ბოლონიმ, როცა თბილისში გამომგზავრება მატჩამდე სამი დღით ადრე გადაწყვიტა.

რუმინეთის ნაკრები აქ იგივე შემადგენლობით ჩამოვა, რომლითაც იტალიელებთან მატჩისთვის ემზადებოდა, რა თქმა უნდა, თუ დღეს ვინმე ისე არ დაუშავდათ, რომ თბილისში თამაში ვერ შეძლოს.

ბოლონი შეგირდებს ხვალვე, ექვს საათზე „დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე ავარჯიშებს, ორშაბათს შვიდ საათზე ეროვნულ სტადიონზე, მატჩის წინა დღეს კი, მისივე მოთხოვნით, რუმინელებს სავარჯიშოდ სასტუმრო „შერატონთან" ახლომახლო მდებარე რომელიმე მოედანი დაეთმობათ.

სტუმრების დელეგაცია 85-კაციანი იქნება. მათი ახალგაზრდული ნაკრები კი „ვერე პალასში" იცხოვრებს და ქართველ თანატოლებს სამშაბათს, 15 საათზე, „შევარდენზე" დაუპირისპირდება.

**კობა ინასარიძე**

# ახალგაზრდები თითოკაცობენ

## ხურცილავამ ისრების კონა უნდა შეკრას

მცხეთა
23 მარტი
12 საათი
არმაზი
700 (ტევადობა 3 000)

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| საქართველო (ახალგ.) | 0 |

1:0 წუწუნავა (40)

**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, ქანკოტაძე, ვ. გოჩაშვილი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (არსოშვილი 46), ადამია, დიღმელაშვილი (ი. ხაჭაპურიძე 46), სულთანიშვილი, გოცირიძე, წუწუნავა

**საქართველო:** ლომაია (მერლანი 46), ხიზანეიშვილი, აბრამიძე, წერეთელი, საჯაია, კაკაშვილი, ლ. გვაზავა (რუხაძე 46), კორღალიძე (გილაური 46), მელქაძე, ჯაკობია (ბურდული 46), იმედაძე

**გაფრთხილება:** ადამია (60)

**მსაჯი:** ა. ორჯონიძე (ონი)

**პაატა კვანტალიანი**

**რუმინელებთან** მატჩის წინ გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლო რეპეტიცია გაიარა და მცხეთაში გადახალისებულ „ვიტ ჯორჯიას" შეხვდა. შვიდი ლეგიონერით მოთამაშე ხურცილავას გუნდმა ვერაფერი მოუხერხა თითქმის მთელი მეორე ტაიმის მანძილზე კაცნაკლულ მეტოქეს და უსახურად დამარცხდა.

ქართველთა თამაშს გუნდურობის არაფერი სცხია და რუმინელთა წინააღმდეგ ფონს გასვლას ჩვენები ისევ თავდადებისა და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე თუ შეეცდებიან. სამწუხაროდ, ეს მწარე რეალობაა და დიდი შეღავათია რუმინელთათვის.

მწვრთნელებს ვერაფრით გაამტყუნებ იმაში, რომ ჩვენი ნაკრების თამაშში გუნდური შემართება არ იგრძნობა. ძნელია, ორი-სამი დღით შეკრებილთა შეთამაშება. წინასწარ დაგეგმილი ექვსდღიანი შეკრება ხურცილავას და კომპანიას თითქმის გაუნახევრდა. ოთარ ხიზანეიშვილი, ლაშა ჯაკობია, ლევან გვაზავა და მამუკა წერეთელი ორი დღის დაგვიანებით შეუერთდნენ გუნდს, ისევე როგორც ბურდული და ჩივაძე. მეთერთმეტე ვაკანტური ადგილის შევსება კი გუშინღა გადაწყდა. მწვრთნელებს თავდაპირველად დინამოელი შაშიაშვილის გამოძახება სურდათ, მაგრამ ეს ფეხბურთელი „გორდასთან" მატჩში დაშავდა და მის ადგილს ვიტჯორჯიელი დავით დიღმელაშვილი დაიკავებს.

ვეტერინარებთან მატჩში ხურცილავამ 4-4-2 სქემით ითამაშა: დაცვის შუაში წერეთელი და აბრამიძე გაამწესა, მარცხნივ საჯაია, მარჯვნივ ხიზანეიშვილი. ცენტრალური ნახევარმცველები კაკაშვილი და გვაზავა იყვნენ, ფლანგებს კი მელქაძე (მარცხნივ) და კორღალიძე აკონტროლებდნენ. თავდასხმაში ხურცილავამ ჯაკობია-იმედაძის დუეტი ირჩია.

ნაკრებს პირველ ტაიმში არა უშავდა, კარშიც მეტოქეზე მეტი დაარტყა, ბურთსაც მეტხანს აკონტროლებდა, მაგრამ მეტოქის დაცვა ვერაფრით გატეხა. ერთი-ორჯერ ხიფათი მამუკა წერეთელმაც შეუქმნა ვეტერინარებს, კუთხურს მოყოლებული მისი თავური ერთხელ ლამის გოლითაც დამთავრდა. კარგი იყო ის, რომ ხურცილავას დამოძღვრილები პირველ ტაიმში ნაკლებად იჭერდნენ ბურთს და შესაძლებლობისთანავე დაუყოვნებლივ ურტყამდნენ სხვადასხვა მანძილიდან.

პირველი ტაიმის და მატჩის ერთადერთი გოლი კი ადამიას სწრაფ გარღვევას მოჰყვა, შედეგად გოცირიძემ ხელსაყრელ პოზიციაში მოძებნა წუწუნავა და ამასაც ახლო მანძილიდან არ გასჭირვებია ანგარიშის გახსნა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ორდინიძემ ადამია გასახდელის გზას რომ გაუყენა. ვიტელებმა. ტოლ-სწორად ვითამაშოთო და შეცვლილი დოლიძე დააბრუნეს მოედანზე. ათი წუთის შემდეგ ამ გადაწყვეტილებას სავალალო შედეგი მოჰყვა, დოლიძემ კუნთი გაიწყვიტა და სხვათა დახმარებით ძლივს მიაღწია გასახდელამდე. „ვიტ ჯორჯიამაც" კაცნაკლულმა განაგრძო თამაში, ვინაიდან შემცვლელი არავინ ჰყავდა. მაგრამ მასპინძლებმა ასეთ ვითარებაშიც მოახერხეს სასურველი ტემპის შენარჩუნება და შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

ახალგაზრდულ ნაკრებს კი მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულნი დიდად ვერ დაეხმარნენ. მეტიც, ხურცილავას გუნდმა ერთი საგოლე მომენტიც კი ვერ შექმნა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნამატჩევს იმედიანად იყო — ხვალ ბიჭებს მსუბუქად ვავარჯიშებ, მერე დავასვენებ და 27 მარტს თავს არ შევირცხვენთ, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო.

ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ ყველაზე მეტი პრობლემა ჩვენს ახალგაზრდულს შუა ხაზში აქვს, თუმც ხურცილავას სატკივარი ისიც არის, რომ რუმინელებთან მატჩში ვერ ითამაშებს წიტაიშვილი. მას ფეხი აწუხებს. ჯაკობია კი სასურველი კონდიციებიდან შორს დგას და ორივე ტაიმის თამაში გაუჭირდება. მწვრთნელებსაც ფაქტობრივად სხვა არჩევანი არა აქვთ და ბალკანელებთან მატჩს ალბათ მელქაძე-იმედაძის დუეტით დაიწყებენ. ჩვენს გუნდს კი მამუკა წერეთელი უკაპიტნებს, რომელიც გუშინდელ მატჩში თანაგუნდელთაგან საუკეთესოც იყო.

ქვემოთ, ხურცილავას რჩეულ თვრამეტ ახალგაზრდას გაეცანით:

*გიორგი ლომაია, აქსენტი გილაური (ლოკომოტივი), მირზა მერლანი, ედიკ საჯაია, დავით დიღმელაშვილი, ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი აბრამიძე, გიორგი იმედაძე (ტორპედო), ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ ბურდული (დინამო), მამუკა წერეთელი (უგუნდო), ოთარ ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), ვლადიმერ კაკაშვილი (ლოკომოტივი, რუსეთი), თორნიკე რუხაძე (ალანია, რუსეთი), ლევან გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ლევან კორღალიძე (სკონტო, ლატვია), კობა წიტაიშვილი (ირონი, რიშონი, ისრაელი), ლაშა ჯაკობია (აალსტი, ბელგია)*



გიო ახვლედიანი

სვეტი

# რუმინელებს ველით

**მოახლოვდა** რუმინელებთან თამაში.

საქართველოს ნაკრები გერმანიაში ემზადება ოთხშაბათის თამაშისთვის, რუმინელები კი დღეს იტალიელებს მასპინძლობენ.

ისეთი თამაშები, რუმინელთა წინააღმდეგ რომ უწევს ჩვენს ნაკრებს, საცხრილო საჭიროებასთან ერთად ერთგვარი ტესტიცაა და საქართველოს გუნდის ნამდვილ შესაძლებლობებსაც დაგვანახებს.

ბოლო შესარჩევი მატჩი ჩვენმა ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე როდის გამართა, აღარც კი გვახსოვს. ამასწინათ, უკრაინელებთან ნათამაშევი ამხანაგური თამაში ნამდვილად არ გამოდგება ჩვენი ნაკრების ძალის, თუ მზადყოფნის შესამოწმებლად.

მზადყოფნა რუმინელებთან გამოჩნდება.

ესეც არის, რომ გულშემატკივარს მოენატრა ნამდვილი სანაკრებო თამაში. გვარიანად ძვირი ბილეთები კარგად იყიდება და თუმცა, ჩვენი სტადიონი კიდევ კარგა ხანს ვერ გაივსება, რადგან მარადიულ პლასტმასის სკამთა პრობლემას საქართველო ვერაფერს უხერხებს, გულშემატკივარი გამორჩეული წყურვილით ელის ამ თამაშს.

ანუ, ომია, ომი...

სხვანაირად კი, ყველამ ვიცით, რაც არის რუმინეთის ნაკრები. ისიც ვიცით, დღეს როგორ მდგომარეობაშია და დღევანდელ მათ შეხვედრას იტალიელებთან ინტერესითაც ველით, რადგან იგი ბევრ რამესაც დაგვანახებს საოთხშაბათოდ და ბევრი რამის განმსაზღვრელი იქნება.

რეალურად რომ ვიმსჯელოთ, რუმინეთის ნაკრები გაჩვეულია ჩვენი რეიტინგისა და შესაძლებლობების გუნდებისგან ქულების აღებას და მათთან იმთავითვე მომგებიანი პოზიციის დაჭერას. ანუ, რუმინეთი მოგებას მიჩვეული, წარმატებული და თანამედროვე გუნდია. დღევანდელ სანაკრებო ფეხბურთში ადგილის დასამკვიდრებლად სწორედ ამგვარი გუნდების დამარცხებაა საჭირო. თქმა არ უნდა, თუ საქართველო რამეზე ოცნებობს, სწორედ ოთხშაბათს უნდა დაამტკიცოს, რომ ოცნების უკან საქმე დგას.

რუმინელთა კოზირების ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანდა, თუმცა, საქართველოს ნაკრების წამყვან მოთამაშეთა უმრავლესობა ახლა საუცხოო ფორმაშია და ესეც, შინაურ კედლებთან ერთად ჩვენი მთავარი კოზირია. თუ ეს კოზირი ამუშავდა და, თუ ჩვენ დავივიწყებთ, რომ აქამდე თუნდაც ამხანაგურ შეხვედრაში რუმინელებისთვის გოლი არ გაგვიტანია, წარმატებაზე ფიქრიც შეიძლება.

რაღა თქმა უნდა, მთლად საუცხოო იქნება, თუ სიმპატიურად ვაჯობებთ ამ უსიმპატიო გუნდს, რომლის ბანაკიდანაც ამ შაბათამდე სულ მათთვის უსიამო ჭორები გამოდიოდა. ფეხბურთი დემოკრატიული თამაშაა, მასში მოგება ყველას შეუძლია. ანუ ერთი თამაშის მოგება შენზე მეტად სახელიანი და გამოცდილი გუნდისთვის ფეხბურთში შესაძლებელია.

საქართველო არ უნდა შეცბეს და ხალხიც აქაა, გუნდის გვერდით.

ასე ველით რუმინელებთან თამაშს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

### III ჯგუფი

### V ტური

**კატარი 2:1 პალესტინა**

1:0 ალ ენაზი (24), 1:1 აიობი (30), 2:1 ა ზიზ მახანი (45)

**ჰონკონგი 2:1 მალაიზია**

1:0 ჯაიზი (11), 2:0 ჰუ ჩი (78), 2:1 ომარი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატარი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| პალესტინა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| მალაიზია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ჰონკონგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |

ხვალ: კატარი — ჰონ კონგი
პალესტინა — მალაიზია
კატარის ნაკრები გავიდა
II შესარჩევ ეტაპზე

## აფრიკის ერთვნებათა თასი

### VII ჯგუფი. IV ტური

**ლიბია 2:0 ეგვიპტე**

1:0 აბუ კუბა (63), 2:0 ელმოსლიფ (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| კოტ დივუარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ლიბია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| სუდანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |

ხვალ: სუდანი — კოტ დივუარი

ნებისმიერი საფეხბურთო
ანგარიში, უახლესი ინფორმაციები
NHL და NBA.
ცნობები ცნობილაძისგან.
ტელ. 8-22-00-90-11.
1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

## ინგლისი

### II დივიზიონი

### XXXIX ტური

**ნოთსი 3:3 პიტერბორო**

**რედინგი 1:3 ბრისტოლი**

**ოლდემი 2:1 ნორთჰემპტონი**

**ბრენტფორდი — ლუტონი**

გადაიდო

**კემბრიჯი — კოლჩესტერი**

გადაიდო

### III დივიზიონი

### XXXIX ტური

**როჩდეილი 1:1 ჩელტენემი**

**კარლაილი 1:0 ტორკი**

**ლინკოლნი 2:2 შრუსბერი**

**საუთენდი — ჰალი**

გადაიდო

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

### XXXII ტური

**ნიორი 1:1 ბოვე**

**აიაჩო 1:0 კაენი**

**ლე მანი 2:1 კრეტეი**

**მონპელიე 5:0 ამიენი**

**ანჟერი 1:0 ლავალი**

**მარტიგი 0:1 ნიცა**

**შატორუ 1:1 ნანსი**

**კანი 0:0 ვასკალი**

**ლე ავრი — ლორიანი**

გადაიდო

## იტალია

### სერია B

### XXVIII ტური

**მონცა 1:1 ტერნანა**

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე წრე **22 ტური**

# კენჭი ბელტად, ბელტი ბომბად?

**ბინება**, დაშინება და მუქარა... მანქანის დამტვრევა თუ ფიზიკური შეურაცხყოფა... ამას ყველა შეეჩვია. მსაჯებს ადრე კენჭებს მაინც ესროდნენ, ახლა ბელტებით დევნიან, ალბათ, მალე ბომბებითაც გამოუდგებიან.

რაც მოგივა, დავითაო... ძალიანაც არ გვინდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის დადანაშაულება მოგვიწევს. თავის დროზე ყველა დამნაშავე საკადრისად რომ დაესაჯა, დღეს ამგვარ არასასიამოვნო ინციდენტზე არ მოგვიწევდა წერა.

იდგა თავისთვის ბუიშვილი, შეძლებისდაგვარად თავს ართმევდა დავალებას, მაგრამ გარჯა ვინ დაუფასა. თავში საკმაოზე მკვრივი ბელტი უთავაზეს. არავის შეუნიშნავს წაქცეული მსაჯი. მხოლოდ საპირისპირო მხარეს, ლოჟაში მოკალათებულმა მატჩის ინსპექტორმა იყვირა და მეოთხე არბიტრს თამაში გააჩერებინა. არა, მართლაც უცნაური ქალაქია გორი...

ვნებათაღელვა სხვაც იყო, თუმც „დილა“ — „კოლხეთმა“ თავისებურად მაინც გაამართლა ტურის ცენტრალური მატჩის იმიჯი. მასპინძლებმა თამაშის ბოლოს გატანილი გოლის წყალობით იმარჯვეს. საგოლე მომენტიც სტუმრებზე მეტი შექმნეს. რაღაც აშკარად აკლია სოსო ფილიას გუნდს. ჩვენი აზრით, ის რაღაც კი არა, ვიღაც გახლავთ. თამაშის ორგანიზატორი, დირიჟორი უნდა „კოლხეთს“ და რაც მალე იპოვიან კოლხები ასეთ მოთამაშეს, მით უკეთესი მათთვის. „დილამ“ კი, კიდევ ერთხელ გააწბილა „კოლხები“ და ოდნავ ამოისუნთქა, თუმც ისევ სავალალო დღეშია.

რუსთავში „გორდამ“ „დინამოს“ პირველმა გაუტანა, თუმც გამარჯვებას მაინც ვერ ეღირსა. ათგზის ჩემპიონმა ოთხ წუთში გაქვითა. მორიგი გოლი ჩაიწერა აქტივში ზირაქიშვილმა, მაგრამ...

ხელით, იყვირეს რუსთაველმა ფეხბურთელებმა. ხელი, ხელით, აჰყვნენ მწვრთნელები და გულშემატკივრები, თუმც მსაჯის ცენტრისკენ გაშვერილი ხელი მასპინძელთა სასიხარულოს არას აფიქსირებდა.

იქნებ ვიდეოჩანაწერმა ცხადყოს სიმართლეო, ვითომ თავს იმშვიდებდნენ რუსთაველები. კარგით, ვთქვათ, ზირაქიშვილმა ხელით გაიტანა, განა „გორდას“ დაკარგულ ქულებს ვინმე დაუბრუნებს?! მსაჯი კი აუცილებლად დასასჯელია, თანაც სამაგალითოდ. არადა, თუ დინამოელმა წესების სრული დაცვით შეაგდო, მაშინ რას ვერჩით შილაკაძეს?!

სანამ რუსთაველები ფედერაციაში სამართალს ეძებენ, მანამ „დინამო“ მეორე საფეხურზე ავიდა და არც პირველობაზე იტყოდა უარს, მაგრამ...

როდის უნდა გაუტანოთ გოლი მამარდაშვილს? — გაეხუმრა ბოლნისელ სტუმარს მცხეთელი მასპინძელი. სიმართლეს ამბობდა თსუ-ს ქომაგი, მაგრამ სტუდენტებთან შედარებით „სიონს“ სახუმაროდ არაფერი სჭირდა.

კი, ნამდვილად ვერ იყვნენ თამაშის იმტაზე სტუმრები, მაგრამ „სიონი“ სიძლიერით დანარჩენ ხუთ კონკურენტს თუ ვერ სჯობნის, არაფრით ჩამოუვარდება. ახალგაზრდულ თსუ-ს კი გამოუცდელობა და ოსტატობა დაალალატებს.

გუშინწინ სტუმრებს სულ ცოტა ხუთჯერ უნდა გაეტანათ, მაგრამ ყველგან მასპინძელთა მეკარე დაუხვდა და „სიონიც“ 0:0-ს დააჯერა.

ბოლოს „ბათუმის“ ამბავიც ვთქვათ. ბალაძის გუნდმა საწყალ „იბერიაზე“ იყარა ჯავრი. გამოცდილმა მაჭუტაძემ თითქმის ცენტრიდან გაიტანა, მასპინძლებს სხვებმაც არ დააკლეს, თუმც ბოლმის ამონთხევის გარდა სხვა ხეირი არც უნახავთ სტუმრებს.

„ბათუმის“ ნაღვლის გასაქარვებლად ამასაც დავძენთ — აშკარად მართალ გზაზე დგას გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელი ასლან ბალაძე. თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი რამდენიმე თვეში ვერ დასრულდებოდა, ხოლო თუ მომავალი ჩემპიონატიდან ხელშეწყობაც ექნება, „ბათუმი“ სოლიდური გუნდი გახდება.

ნაკლული 22-ე ტური, ბათუმელთა შემწეობით, უხვგოლიანი გამოდგა. 4 თამაშში გატანილი 9 ბურთი ურიგო არ გახლავთ. მასპინძლებმა 6 ქულა მიითვალეს, სტუმრებმა — 4. ამიტომ ტურს მასპინძლებისა დავარქვათ, რა თქმა უნდა, პირობითად და იმ ორ მატჩს დაველოდოთ, ნაკრების ინტერესებმა 31 მარტისთვის რომ შემოგვინახა. ჩემპიონი თუ ვიცე-ჩემპიონი, თასის მფლობელი თუ „მერანი“? ვნახოთ, ისეთი მატჩებია, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი.

31 მარტამდე კი ეროვნული ჩემპიონატი ყველას დაგვავიწყდება. იმედია, არც არავინ დაგვძრახავს, ეროვნული გუნდი ხომ პრინციპულ მატჩში რუმინეთს მასპინძლობს.

**დათო დანელია**



ბოლნისელი გელა გაბისონია (შუაში) მასპინძელთა ზორბა მეკარე დავით მამარდაშვილთან ვერას გახდა

| სტატისტიკა | |
|---|---|
| მატჩი | 4 |
| გოლი | 9 |
| მასპინძელთა მოგება | 1 |
| ფრე | 1 |
| სტუმართა მოგება | 2 |
| საერთო დასწრება | 6 000 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 500 |
| საუკეთესო დასწრება (გორდა — დინამო) | 4 000 |
| მწირი დასწრება (იბერია — ბათუმი) | 200 |

| დილა 1:0 კოლხეთი | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 13 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 5 | თამაშგარე | 9 |

| გორდა 1:2 დინამო | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 19 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 2 | კარში დარტყმა | 7 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

| იბერია 0:5 ბათუმი | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 7 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 4 | კარში დარტყმა | 7 |
| 6 | თამაშგარე | 2 |

| თსუ 0:0 სიონი | | |
|---|---|---|
| 27 | დაჯარიმდა | 21 |
| 1 | კუთხური | 6 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 4 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 2 |



„იბერია“ — „ბათუმი“. პაატა მაჭუტაძემ ერთი, მაგრამ იშვიათი გაიტანა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 16 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 11 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 10 - რუსია | ლოკომოტივი |
| 9 - იოსანიძე | ტორპედო |
| გადელია | დინამო |
| 8 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| 7 - ბ. ვ. მიქაძე | დინამო |
| 6 - აშხარავა | ბათუმი |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| წუწუნავა | ვიტ ჯორჯია |

სიმბოლური ნაკრები




| უმაღლესი ლიგა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლოკომოტივი | 21 | 17 | 2 | 2 | 40:7 | 33 | 53 | 11 | 10 | 0 | 1 | 27:3 | 24 | 30 | 10 | 7 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 23 |
| 2 | დინამო | 22 | 15 | 3 | 4 | 52:20 | 32 | 48 | 11 | 9 | 0 | 2 | 33:7 | 26 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 19:13 | 6 | 21 |
| 3 | ტორპედო | 21 | 14 | 5 | 2 | 33:7 | 26 | 47 | 11 | 8 | 2 | 1 | 19:4 | 15 | 26 | 10 | 6 | 3 | 1 | 14:3 | 11 | 21 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 7 | 4 | 29:15 | 14 | 37 | 10 | 7 | 1 | 2 | 13:2 | 11 | 22 | 11 | 3 | 6 | 2 | 16:13 | 3 | 15 |
| 5 | მერანი | 21 | 8 | 8 | 5 | 22:20 | 2 | 32 | 10 | 4 | 6 | 0 | 12:6 | 6 | 18 | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | -4 | 14 |
| 6 | კოლხეთი | 22 | 8 | 7 | 7 | 22:18 | 4 | 31 | 11 | 5 | 5 | 1 | 9:5 | 4 | 20 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:13 | 0 | 11 |
| 7 | ბათუმი | 22 | 8 | 4 | 10 | 34:29 | 5 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 20:16 | 4 | 17 | 11 | 3 | 2 | 6 | 14:13 | 1 | 11 |
| 8 | სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 17:28 | -11 | 26 | 11 | 3 | 3 | 5 | 10:13 | -3 | 12 | 11 | 4 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 14 |
| 9 | თსუ | 22 | 5 | 4 | 13 | 19:37 | -18 | 19 | 11 | 3 | 2 | 6 | 9:16 | -7 | 11 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:21 | -11 | 8 |
| 10 | გორდა | 22 | 3 | 9 | 10 | 16:29 | -13 | 18 | 11 | 3 | 5 | 3 | 13:10 | 3 | 14 | 11 | 0 | 4 | 7 | 3:19 | -16 | 4 |
| 11 | დილა | 22 | 5 | 3 | 14 | 14:44 | -30 | 18 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:17 | -5 | 14 | 11 | 1 | 1 | 9 | 2:27 | -25 | 4 |
| 12 | იბერია | 22 | 0 | 3 | 19 | 3:47 | -44 | 3 | 11 | 0 | 2 | 9 | 1:24 | -23 | 2 | 11 | 0 | 1 | 10 | 2:23 | -21 | 1 |

# ლოკომოტივმა და მერანმა ცალკე ჩემპიონატი მოიწყეს

## ავჭალა ვაკის წინააღმდეგ: მკაფრი სიუჟეტი შვიდ სერიად



„ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ „მერანი" შეიხვედრა

[illegible] ფოტო

**„ჩემპიონს** გაუმარჯოს, რას იტყვი, ხომ არ შევერკინოთ" — ასე მიესალმა ლოკომოტიველი გია ჯიშკარიანი „ტორპედოს" წარმომადგენელ ვლადიმერ პანოვს.

ეროვნული გუნდის მწვრთნელყოფილს უკან არ დაუხევია — „რატომაც არა, ხელში ნაღდი ფინალი გიჭირავს თუ..."

თასის ნახევარფინალის წილისყრამდე რამდენიმე წუთით ადრე ოთხივე გუნდის წარმომადგენელი მხნედ და იმედიანად გამოიყურებოდა. გამომეტყველება არც წილისყრის შემდეგ შეცვლიათ, ოღონდ საკითხავიც ისაა, ვინ რამდენად ემადლიერებოდა ფორტუნას.

ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა გუშინ დეპარტამენტის საქტო დარბაზში იწვია თორმეტივე უმაღლესლიგელის წარმომადგენელი. თერთმეტი მათგანი ოპერატიულად გამოცხადდა, „ბათუმის" ემისარი კი საერთოდ არ დასწრებია გუშინდელ ყეენობას.

ჯერ თასის წილისყრა მოიმთავრეს, მერე საპრიზო და ლიგაში დამრჩენგასავარდნი გუნდების ექვსეულები დანომრეს და დასკვნითი ეტაპის პირველი ტურის კალენდარიც წარმოგვიდგინეს. სრულად ორ-სამ დღეში გააზლებთო, შეგვპირდნენ.

დღემდე გაუგებარია, ფედერაციამ თასის წილისყრა აქამდე რად დააზანა. მიზეზს უბრალოდ ვერ ვპოულობთ, მაგრამ ნათქვამია, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და იმითაც კმაყოფილები დავრჩით, რაც გუშინ ვიხილეთ.

წილისყრის დაწყებამდე სავარაუდო მეტოქის შესახებ კომენტარი არც ერთი კლუბის წარმომადგენელს არ დაუმადლებია...

**ტარიელ ღვაბერიძე, „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი:** ნახევარფინალში მეტოქედ „ტორპედოს" ან „ვიტ ჯორჯიას" ვისურვებდით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით, მაგრამ ასე უფრო ნათლად გამოჩნდებოდა თითოეული ჩვენგანის სიძლიერე.

**ვლადიმერ პანოვი, „ტორპედოს" მენეჯერი:** სასურველი მეტოქის დასახელებისგან თავს შევიკავებ, ან რა აზრი აქვს, სავარაუდო მეტოქეებიდან უბრძოლველად რომელი ერთი დათმობს რამეს. თუ თასი გინდა, ნებისმიერს უნდა მოუგო.

**ანზორ მამალაძე, „მერანის" ვიცე-პრეზიდენტი:** ხომ ვიცი, სამივეს სათითაოდ ნახევარფინალში მეტოქედ „მერანი" ენატრება, მაგრამ მეშინია, ყელში არ გავეჩხიროთ.

„ვიტ ჯორჯიას" რიცხვმრავალმა დელეგაციამ აღიარა, რომ მეტოქედ „მერანს" ისურვებდა, თუმც ისიც არ დაუმალავთ, რომ არც „ლოკომოტივისა" და „ტორპედოს" ძლევაზე იტყოდნენ უარს.

ამასობაში მალხაზ ლაცაბიძემ დანომრილი ქაღალდის ნაგლეჯები შოკოლად „კინდერის" ბურთულებში ჩააწყო და ლოტოტრონში ჩაუძახა. გია ფირცხალავამ სათითაოდ გამოიხმო ნახევარფინალისტები და ბედის ბორბალიც დატრიალდა.

ლოტოტრონთან პირველობა გათამაშების ცხრილის მიხედვით „ლოკომოტივს" ეკუთვნოდა. ტარიელ ღვაბერიძემ ყუთში ხელი ჩაყო და მისი კლუბისთვის სასურველი ერთიანიც ამოიღო.

„ტორპედოს" ოთხიანი ერგო, „ვიტ ჯორჯიას" — სამი, რა თქმა უნდა, „მერანისა" ორიანი დარჩა.

საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცმა გია ფირცხალავამ თავიდანვე გააცხადა, კენტციფრიანები პირველ თამაშს შინ ჩაატარებენო. ისიც ცნობილი იყო, პირველი მეორესთან, ხოლო მესამე მეოთხესთან რომ დაწყვილებოდა. მაშ ასე, 1 მაისს „ლოკომოტივი" — „მერანი" და „ვიტ ჯორჯია" — „ტორპედო" დაკანონდა. საპასუხო შეხვედრები 15 მაისს გაიმართება.

ამის მერე მალხაზ ლაცაბიძემ ლოტოტრონში ექვს ბურთულას უკრა თავი და საპრიზო ექვსეულიც დაინომრა. პირველი ტურის კალენდარიც მაშინვე გამოცხვა. 4 აპრილს ერთმანეთს ეთამაშებიან:

**„კოლხეთი" — „ვიტ ჯორჯია"**
**„ლოკომოტივი" — „მერანი"**
**„დინამო" — „ტორპედო"**

ქვედა ექვსეულის დანომრამდე დარბაზში ვიღაცამ იხუმრა, დარჩენილი ჩემპიონატი „ლოკომტივ" — „მერანის" პაექრობად გადაიქცაო. განა ტყუოდა ის კაცი. რკინიგზელებმა და ავჭალელებმა პირველ წრეში უკვე ითამაშეს. მეორე წრის მატჩი 31 მარტს უნდა ჩატარდეს. 4 აპრილს დასკვნითი ეტაპის პირველ ტურში შეხვდებიან ერთმანეთს. მერე თასის ორი მატჩი და ბოლოს დასკვნითი ეტაპის მეორე წრე. გამოდის, კიდევ ხუთჯერ უნდა ვნახოთ „მერან" — „ლოკომოტივის" პაექრობა. თუ პირველ წრეში ნათამაშევს იმასაც მივათვლით, მოსამზადებელ პერიოდში რომ გაეჯიბრნენ, მაშინ შვიდი გამოვა. ლამის მესამედი ჩემპიონატია. არა, შვიდჯერ „ლოკომოტივი" — „მერანი" ან პირიქით, ნამდვილად მეტისმეტია.

ქვედა ექვსეულში პირველი ტური ასე დალაგდა:

**„თსუ" — „იბერია"**
**„დილა" — „ბათუმი"**
**„გორდა" — „სიონი"**

ამ გუნდების შეხვედრები პირველ ექვსეულთან შედარებით ერთი დღით ადრე, 3 აპრილს დაიწყება. მოკლედ, მოსაწყენად არ გვცალია. წინ დიდი დაძაბულობაა, ხარისხი კი...

**მამუკა კვანტალიანი**



ზაზა ზამთარაძე

ნუგზარ ვარდოსანიძის ფოტო

# შეკონტრაქტო ზამთარაძის ნეიტრალური კონტაქტი

**შესუსტებული** შემადგენლობით შეეგება საგაზაფხულო ეტაპს თბილისის „დინამო" — გუნდი თორმეტმა ფეხბურთელმა დატოვა. თუმც ჯერჯერობით საქმეები კარგად მისდის ათგზის ჩემპიონს, ორი ფრის და სამი მოგების შემდეგ გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ქულით გადაასწრო ჩემპიონ „ტორპედოს", რომელსაც 31 მარტს 22-ე ტურის გადატანილი მატჩი აქვს ჩასატარებელი სტუმრად „ვიტ ჯორჯიასთან".

„დინამომ" ბოლოს რუსთავის „გორდას" სძლია. ამ შეხვედრაში ვერ ვიხილეთ დინამოელთა მარჯვენაფლანგელი ზაზა ზამთარაძე. როგორც შევიტყვეთ, 22 წლის ფეხბურთელმა კლუბის პრეზიდენტ რევაზ არველაძისგან ნებართვა აიღო და ერთი კვირით დატოვა გუნდი. ერთი სიტყვით, ზაზა ზამთარაძეს უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება, კერძოდ, შვეიცარიაში. ზაზა ახლა გერმანიაშია, ქართველი ფრაიბურგელების ხელშეწყობით ფოლკერ ფინკეს გუნდში წაივარჯიშებს და დღედღეზე შვეიცარიაში ჩავა, სადაც მოსურნე კლუბის გამოძებნა მოუწევს.

ზაზა ზამთარაძეს „დინამოსთან" კონტრაქტი არ აკავშირებს და მისი ტრანსფერის შემთხვევაში ექსჩემპიონი ოდენ საკომპენსაციო თანხას მიიღებს.

**დავით თაგვართქილაძე**


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას

„ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლიუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

გენერალური სპონსორი მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

სარბიელი


## ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის
საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის,
გუნდის, გოლის
გამოსავლენად ტარდება ფეხბურთის გულშემატკივართა,
სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და
ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი ..............
2. საუკეთესო მეკარე ..............
3. საუკეთესო მცველი ..............
4. საუკეთესო ნახევარმცველი ..............
5. საუკეთესო თავდამსხმელი ..............
6. საუკეთესო მწვრთნელი ..............
7. საუკეთესო მსაჯი ..............
8. საუკეთესო გუნდი ..............
9. შთამბეჭდაობითი (საუკეთესო) გოლი ..............

..............................

გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მსურველებს
შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ
გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების გასაღების
პუნქტებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების
მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ
ტელეფონებზე: 99 96 43; 99 56 14 ან მოგვაწოდოთ
ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:
WWW. gff. ge - ვებ გვერდი
gff@ acces. sanet. ge - E-mail

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### რუმინეთი — იტალია

**რუმინეთი** იტალიას მასპინძლობს, ყველაფრის მიუხედავად იმედმოუშლელი ქართველი გულშემატკივარი კი ბუქარესტისკენ იყურება. რა მოხდება იქ? იტალია მოიგებს? თუ ასე მოხდა, გამოდის, რომ „სკუადრა ატურა“, ფაქტობრივად, იაპონია-კორეის საგზურს ინაღდებს (თუმცა ამის თქმა, თეორიულად მეტისმეტად ნაადრევია), ხოლო რუმინეთი თვითმფრინავში ჯდება და ფრიად შეშფოთებული თბილისისკენ მოეშურება. და როგორია შეშფოთებული რუმინეთი? დათრგუნულია და უსუსური თუ საქმის გამოსასწორებლად ანთებული?

რუმინეთი მოიგებს? მაშინ, გამოდის, რომ თეორიულად ყველა გუნდს (ალბათ, ლიტვის გარდა) ეზრდება მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, ხოლო რუმინეთი იმავ თვითმფრინავში ჯდება და თბილისისკენ ამაყად მოფრინავს და როგორია ამაყი რუმინეთი? სიამაყის ტალღაზე შემდგარი მეტოქეებს ერთიმეორის მიყოლებით იფრენს თუ გონება ეკარგება და რეალობის გრძნობას კარგავს?

ფრედ დამთავრდება? მაშინ რაღა გამოდის? ის, რომ თეორიულად ყველა გუნდს (ისევ, ალბათ, ლიტვის გარდა) ეზრდება ჯგუფიდან გასვლის შანსი, ხოლო რუმინეთი თვითმფრინავში ჯდება და თბილისისკენ ცოტა ამაყად და ცოტაც შეფიქრიანებული მოფრინავს და როგორია ცოტა ამაყი და ცოტა შეფიქრიანებული რუმინეთი? ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გაგვცემს. ამ წუთას, ამაზე, შეიძლება მისმა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმაც ვერაფერი გვითხრას. ისე კი, ბოლონის რუმინეთში სერიოზულად აკრიტიკებენ და თუ დღეს იტალიასთან წააგებს, ვინ იცის ჩაჯდება თუ არა იმ თვითმფრინავში, რომელიც ჩვენ უკვე კარგად გავიცანით.

და ყველაფერზე მთავარი ისაა, როგორ დახვდება ნებისმიერ ხასიათზე მყოფ რუმინეთს საქართველო. თუმცა ეს ამ წერილის თემა არ გახლავთ და ამიტომ, თქვენი ნებართვით, ბუქარესტში დავბრუნდებით, სადაც ფილიპო ინძაგი და კომპანია საკუთარ თავში დარწმუნებული ჩავიდა.

VIII ჯგუფი ჩვენი მეტოქეები VIII ჯგუფი

# სამი რუმინეთი ჩვენთვის
## ამაყი, უსუსური და ისე რა



ბუქარესტში ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი შეწყვილდებიან

„უახლოეს დღეებში ორი უმნიშვნელოვანესი თამაში გველის, ორი დიდი გამოცდა, რომელთაც სრულიად მშვიდად და საკუთარ თავში დარწმუნებული ვხვდებით“ — თქვა ინძაგიმ და მეორე უმნიშვნელოვანეს თამაშად ოთხშაბათის იტალია — ლიტვა იგულისხმა — „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რუმინეთთან თამაშია, თუმცა ჩვენ ერთსულოვანი გუნდი ვართ და, რაც ყველაზე მთავარია, თანაგუნდელობის გარდა დიდი მეგობრობა გვაკავშირებს“.

შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში, ამ გუნდების პირველ შეხვედრაში იტალიამ რუმინეთს ყველა ასპექტით აჯობა, საქმე პირველსავე ტაიმში მოამთავრა და ეს ყველაფერი საბოლოოდ 3:0 გამოვიდა.

როგორც ამბობენ, თავდაპირველი ჩანაფიქრით, ინძაგის მხარდამხარ შეტევაში, მარკო დელვეკიოს უნდა ეთამაშა, მაგრამ კუნთი გაიჭიმა და მეგობართა ჯგუფს გამოაკლდა. შემდეგ ამბობდნენ კრისტიან ვიერი იქნებაო, მაგრამ უიღბლობათა ნაკადში ჩათრეული ვიერი ისევ დაშავდა, ასე რომ, ამ საღამოს რუმინელთა კარის სიახლოვეს ინძაგისთან ერთად მის თანაკლუბელს, ალესანდრო დელ პიეროს უნდა ველოდოთ.

ოთხშაბათს, ანუ ბუქარესტში გაფრენამდე, ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა ატურა“ იტალიისავე 18-წლამდელთა ნაკრებთან ათამაშა, შემდეგ კი თქვა:

„რუმინელებთან ძირითადად ამ შემადგენლობით ვითამაშებთ, თუმცა ერთიორი კითხვისნიშანი მაინც მაქვს დასმული. ცუდია, რომ იტალიაში ბევრი ძლიერი ფეხბურთელი დაშავებულია, ზოგი კი გადაღლილი გახლავთ და დასასვენებლად ორად ორი დღე აქვთ“.

ისევ ინძაგის დავუბრუნდეთ. ის ამბობს, რომ დღეს, მთელი მსოფლიოს ყურადღება საკლუბო ფეხბურთისკენაა მიპყრობილი, მაგრამ პირადად მისთვის ეროვნულ გუნდში თამაში განსაკუთრებულ გრძნობებთან არის დაკავშირებული:

„ამ ლურჯი მაისურის ჩაცმა ძალიან მიყვარს. ჩემი ქვეყნის სახელით ასზე მეტი სხვადასხვა დონის თამაში მაქვს ჩატარებული, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ჰიმნის მოსმენას საგანგებოდ არ ემოქმედოს. იცით, ასე მგონია, რომ ნაკრებიდან წასვლის დღე ჩემთვის კარიერაში ყველაზე ძნელი იქნება“.

თუმცა, ინძაგის ნაკრებიდან წასვლამდე ჯერ შორსაა, ხოლო მას და მის მეგობრებს უახლოესი ამოცანა ამ საღამოს მილანელი ჯენარო გატუზოს გარეშე აქვთ გადასაჭრელი — გატუზო საზარდულს შეუწუხებია. მის ნაცვლად ტრაპატონიმ „ატალანტას“ ნახევარმცველი დამიანო ძენონი გამოიძახა.

ზემოხსენებული ინძაგისა და მისი პარტნიორის, ალესანდრო დელ პიეროს გადალმა, იქითა კარში ესპანური „ვალენსიას“ ფორვარდი ადრიან ილიე შეეცდება ბურთის შეგდებას, ოღონდ ლადისლაუ ბოლონის თქმით ილიე ერთ ტაიმს თუ გაუძლებს — ორი თვე ხომ ბარძაყის კუნთს მკურნალობდა, ბოლონიმ ისიც თქვა, რომ იტალიელთა ტრავმების ამბავი იცის, ამის იმედი აქვს და ფიქრობს, რომ მისი ფეხბურთელები მზად არიან გმირობის ჩასადენად.

სტატისტიკამ კი ასეთი რამ თქვა: მეტოქეებს შორის გამართულ ბოლო 12 შეხვედრაში „სკუადრა ატურამ“ რვა გამარჯვება მოიპოვა, ხოლო რუმინეთმა მხოლოდ ორი. ოფიციალურ მატჩებში იტალიელებთან რუმინელთა ბოლო გამარჯვების ძებნას თუ დავიწყებთ, კვალი 18 წლის წინანდელ ამბამდე მიგვიყვანს, როდესაც ისინი ერთმანეთს ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ხვდებოდნენ.

„თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა გვინდა, დღეს ფეხბურთელებმა გმირობა უნდა ჩაიდინონ“ — მაინც არ ეშვება პეროიკულ თემებზე ლაპარაკს ბოლონი, ხოლო შემტევი ნახევარმცველი ადრიან მუტუ მსუბუქადაა დაშავებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თავიდან, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

„თავად კი ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ თავიდანვე რომ ვათამაშო, ვერავინ მეტყვის რამდენ ხანს გაძლებს მოედანზე“ — ბრძანებს ბოლონი.



იტალიელთა შეტევებს რუმინელებთან ფრანჩესკო ტოტი წარუძღვება

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რუმინეთი:** პრუნეა, ჩობოტარიუ, ფილიპესკუ, პროდანი, კონტრა, გალკა, დ. მუნტეანუ, კოფუ, მოლდოვანი, ნიკულაე (ან ილიე), განეა

**იტალია:** ბუფონი, კანავარო, ნესტა, მალდინი, ძამბროტა, ტომაზი, ალბერტინი, პანკარო, ფიორე, ფ. ინძაგი, დელ პიერო

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

### უნგრეთი — ლიტვა

...ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ჯგუფში, რომელსაც რვიანი აწერია და რომელშიც საქართველოს ნაკრები თამაშობს, სხვა გუნდებიც არიან, კერძოდ კი, უნგრეთი და ლიტვა. დღეს ისინიც თამაშობენ. უნგრეთი ლიტვას მასპინძლობს.

რით ხვდება ცხრილში მეორე ადგილზე მყოფი უნგრეთი ლიტველებს? უპირველეს ყოვლისა მეკარით — ბერლინის „ჰერტას“ კარის მცველი გაბორ კირალი ნაკრებშია, ხოლო მისი მეუღლე და ერთი კვირის გოგონა ვერონიკა სამშობიაროდან შინ გადაბარგდნენ. კირალიმ ერთი ხნის წინ ბოსნიასთან ამხანაგური შეხვედრა გამოტოვა ცოლის ფეხმძიმობის გამო, ახლა კი ყველაფერი რიგზეა.

უნგრელთა თავკაცმა ბერტალან ბიჩკეიმ თავიდან 26 მოთამაშე გამოიძახა, თუმცა დღეს ექიმებმა უნდა გადაწყვიტონ სათადარიგო გოლკიპერის ლაიოშ შუცის, გამთამაშებლის ზოლტან დვერისა და თავდამსხმელის ტომას სოვეშის ამბავი. რაც შეეხება იანუშ მატიუშის ამბავს, აქ უნგრელთათვის ყველაფერი ნათელი და სამწუხაროა: მწვრთნელმა მის ნაცვლად „ვაშაშის“ მცველი ტამაშ პეტო გამოიძახა. გერმანული „კოტბუსის“ მცველი მატიუში მუხლის მყესების გაწყვეტის გამო გამოაკლდა გუნდს.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა ლიტვაში, უნგრელთა შთამბეჭდავი გამარჯვებით, 6:1 დამთავრდა. ასე რომ, დღეს ძალიან საეჭვოა ლიტველებმა იქ, ბუდაპეშტში შეძლონ რევანშის აღება. მაგრამ თუ შეძლებენ, ძალიან კარგად მოიქცევიან, რადგან, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ქართველი გულშემატკივარი ყველაფრის მიუხედავად იმედს ჯიუტად არ იშლის.

**ბაჩუნა ძიდია**

**უნგრეთის ნაკრები**

**მეკარეები:** გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), გაბორ ბაბოში (ბრედა, ჰოლანდია), ზაბოლჩ საფარი (ზალცბურგი, ავსტრია), ლაიოშ შუცი (ფერენცვაროში)

**მცველები:** დიორდ კორსოში (შტურმი, ავსტრია), იანუშ მრუტკა (ფერენცვაროში), ვილმოშ შებოკი (კოტბუსი, გერმანია), ტამაშ იუჰარი (ვაშაში)

**ნახევარმცველები:** ჩაბა ფეჰერი (ბრედა, ჰოლანდია), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი, გერმანია), ვასილე მირიუტა (კოტბუსი, გერმანია), გაბორ ჰალმაი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), პალ დარდაი (ჰერტა, გერმანია), ბელა ილეში (მტკ), ნორბერტ ტოტი (ვაშაში), ისტვან ჰამარი (მაკაბი, ნეთანია, ისრაელი), ზოლტან გერა (უიპეშტი)

**თავდამსხმელები:** ტიბორ დომბი (უტრეხტი, ჰოლანდია), მიკლოშ ფეჰერი (ბრაგა, პორტუგალია), ატილა ტოკოლი (დუნაფერი), პეტერ კაბატი, ტომაშ სოვეში (ორივე ვაშაში), ფერენც ჰორვატი (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), გაბორ ეგრეში (ზალაეგერსეგი), ტამაშ ნადი (შოპრონი)

**ლიტვის ნაკრები**

**მეკარეები:** ვაიდოტას ჟუტაუტასი (რამათგანი, ჰაკოახი, ისრაელი), გინტარას სტაუჩე (დუისბურგი, გერმანია)

**მცველები:** დაინიუს გლევეცკასი (შახტარი, უკრაინა), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (პოლონია, პოლონეთი), ანდრიუს სკერლა (დანფერმლაინი, შოტლანდია), ანდრიუს იოკშასი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), როლანდას ჯიაუგიტასი (ბალტიკა, რუსეთი), იგნას დედურა (ტორპედო ზილ, რუსეთი)

**ნახევარმცველები:** დეივიდას შემბერასი (დინამო, რუსეთი), ტომას რაჟანაუსკასი (ბრანი, ნორვეგია), რაიმონდას ჟუტაუტასი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი), ორესტას ბუიტკუსი (სკონტო, ლატვია), საულიუს მიკალაიუნასი (ტორპედო ზილ, რუსეთი), ტომას დანილევიჩიუსი (დანფერმლაინი, შოტლანდია)

**თავდამსხმელები:** იგორის მორინასი (მანჰეიმი, გერმანია), რიმანტას ფომკალასი, ვალდას ტრაკისი (ორივე ტორპედო, რუსეთი), ედგარას იანკაუსკასი (სოსიედადი, ესპანეთი), რობერტას პოშკუსი (დალგლიში, ფილიპინები)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:3 | 4 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ლიტვა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

## I ჯგუფი

### იუგოსლავია — შვეიცარია
### რუსეთი — სლოვენია
### ლუქსემბურგი — ფარერები

**რუსები** ჯგუფის ლიდერები არიან და მომავალ ორ საშინაო მატჩშიც — სლოვენიასთან და ფარერებთან ექვსი ქულის აღებას გეგმავენ.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები, აგერ უკვე ორი ციკლია შესარჩევიდან გაღწევას ვერ ახერხებენ — 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა და ევრო 2000-მა ურუსებოდ ჩაიარა. ახლა ისინი, ქართველებისა არ იყოს, ხასიათზე მოსულან და ჯგუფში პირველობას აპირებენ, თუმცა მაინც ფრთხილობენ: „სლოვენიელები უკომპლექსოები არიან. ჩინებული ფეხბურთელები ჰყავთ და მეტად ხისტად თამაშობენ. ჩვენ მათი მატჩების ამსახველი ხუთი ვიდეოკასეტა გვაქვს და თეორიულ მეცადინეობებზე დაწვრილებით შევისწავლეთ — ამბობს რუსთა მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი — ამჟამად, ყველა გუნდს წარმატების თანაბარი შანსი აქვს. უახლოესი ორი ტური, ალბათ ბევრ რამეს მოფენს ნათელს".

„სერიოზული გუნდაა, რომელმაც ბოლო დროს დიდ წარმატებებს მიაღწია — დასძენს ცსკა-ს ლიდერი სერგეი სემაკი — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰლეი ოფში სწორედ სლოვენიელებმა აჯობეს უკრაინას. სლოვენია იუგოსლავიასა და შვეიცარიასთან ერთად ჩვენი მთავარი კონკურენტია. ეგ არის, „ლუჟნიკების" მძიმე მინდორი ცოტას შეგვაფერხებს. ჩვენ მოკლე და ზუსტი პასებს ვარჩევთ და ახეთ მინდორზე გაგვიჭირდება".

სლოვენიელებს, ბუნებრივია, საკუთარი მოსაზრება აქვთ: „თუ ხაწყის შეტევებს მოვიგერიებთ, ვებ გავიმარჯვოთ კიდეც — ამბობს ზორან პავლოვიჩი — თანაც ქომაგებიც გვეყოლება, „ლუჟნიკიში" მოსკოვში მცხოვრები 150 სლოვენიელი მოვა. ხოლო ჩვენი მთავრობის მეთაური ლრნოვშეკი პრეზიდენტმა პეტრიმა ავსტრიაში მიმდინარე თხილამურობის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს დაპატიჟა".

„ჯანზე ვარ და ბრძოლა მწყურია — ბაქიბუქობს ზლატკო ზაჰოვიჩი — სულ ამ თამაშზე ვფიქრობ. ამას წინათ ურუგვაისთან 0:2 წაგებულ მატჩში ფიზიკურად ცუდად გამოვიყურებოდით, მაგრამ ახლა მდგომარეობა სხვაგვარია. ჩვენ მზად ვართ".

„ლუჟნიკის" პრესცენტრის ცნობით, გუშინ საღამოსთვის ოდენ 3 ათასი ბილეთი გაყიდულიყო და კიდევ 80 კოლექტიური მოთხოვნა მოსულიყო, თუმცა ანშლაგს არც არავინ ელის და თანაც სჯერათ, ბილეთების უმეტესობა თამაშის დღეს გაიყიდება. სულ კი 47 ათასი ბილეთი დაუბეჭდავთ.

იუგოსლავია შვეიცარიას მასპინძლობს. „სპორტსკი ჟურნალის" ცნობით, მასპინძლებს დაშავებული მარჯვენა მცველი ზორან მირკოვიჩი დააკლდებათ. მის ადგილს სასტარტოში დეან სტეფანოვიჩი დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ იუგოსლაველებმა ქვეყანაში პოლიტიკური არეულობის მიზეზით შინ მხოლოდ ერთი შესარჩევი მატჩი ჩაატარეს — ლუქსემბურგს 2:0 მოუგეს, რუსებთან და ფარერებთან შეხვედრები კი გადაიდოთ.

შვეიცარიელების წინააღმდეგ იუგოსლაველთა ახალი მთავარი მწვრთნელი მილოვან ჯორიჩი უჩვეულო სათამაშო სქემის გამოყენებას აპირებს — 3-4-3 მართლაც უცნაურია. მესამე თავდამსხმელის ადგილს კი „სპორტსკი ჟურნალის" აზრით, მატეა კეჟმანისა და სავო მილოშევიჩის გვერდით გორან დრულიჩი დაიკავებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სლოვენია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |



REUTERS ფოტო

სამი შვეიცარიელი: რამონ ვეგა, მარკო ცვისიგი და ივან კვენტინი

## II ჯგუფი

### ანდორა — პოლანდია
### კვიპროსი — ირლანდია

**ანდორისა** და ჰოლანდიის ნაკრებებზე საუბარი ანდორელებით დავიწყოთ. მასპინძლებს მარკ ბერნაუსი არ ეყოლებათ. ბერნაუსი „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდშია, ანუ ესპანეთის მესამე დივიზიონში თამაშობს და რომ არა ტრავმა, როგორც ამბობენ, უკვე პროფესიული კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა. ის ანდორული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. ეროვნულ გუნდში ორი თამაში აქვს ჩატარებული, კვიპროსის და პორტუგალიის წინააღმდეგ, ოღონდ... რომც არ დაშავებულიყო, ჰოლანდიასთან მაინც არ იჭრებოდა, რადგან დღეს „ესპანიოლის" B გუნდთან აპირებდა თამაშს, ერთი სიტყვით უარი ნაკრებს.

„ძნელი იყო ასეთი რამის გადაწყვეტა" — ამბობდა ბერნაუსი ერთ-ერთი ანდორული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში — „და მაინც ვფიქრობ, რომ ამჯერად ნაკრებისთვის დახმარებას კლუბისთვის დახმარება აჯობებდა. ისე კი ცხადია, ნაკრების ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო და არის. იქ ჩატარებულმა ორმა შეხვედრამ დიდი გამოცდილება შემძინა".

და როგორი რეაქცია უნდა მოყოლოდა ყმაწვილკაცის ასეთ განცხადებას ანდორის ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან? ეროვნული გუნდის მწვრთნელმა, დავიდ როდრიგომ განაცხადა:

„ბერნაუსის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას პატივს ვცემ ან ვეთანხმები. ნაკრებში სადისციპლინო წესები გვაქვს, რომელთა თანახმად, ამიერიდან მისი კვლავ მიწვევა სხვათა შეურაცხყოფად ჩაითვლება".

ამრიგად, დღეს ცხელ გულზე ისე ჩანს, რომ მარკ ბერნაუსი ანდორის ნაკრებს კარიერის დასაწყისშივე დაემშვიდობა, ხოლო საკუთრივ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაზე ოცნებასაა დამშვიდობებული — ჯერჯერობით ყველა მატჩი წაგებული აქვს და, ალბათ, მომავალშიც ასე განაგრძობს.

კვიპროსი კი სხვა ამბავია. ჯგუფში, რომლის ბოლოს ანდორას აქვს თავი ჩაქინდრული, კვიპროსელები ბოლოს წინანი სულაც არ არიან. არადა, თითქოს სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათ ანდორელებს ორივე თამაში მოუგეს. კვიპროსი დღეს მეორე ადგილზეა და ირლანდიას მასპინძლობს.

ამ შეხვედრისთვის მისმა მწვრთნელმა სტავროს პაპადოპულოსმა ხუთი ფეხბურთელი საბერძნეთის კლუბებიდან მოიწვია. ისინი გახლავან თავდამსხმელები მიხლას კონსტანტინუ (ირაკლისი), იანიკას ოკასი (პაოკი) და მარიოს აგათოკლეუსი (არისი) და ნახევარმცველები იოტის ენგომიტისი (პაოკი) და მარიოს ხრისტოდულუ (არისი).

პაპადოპულოსი იმედოვნებს, რომ მისი გუნდის თამაში გამოსწორდება გასული წლის ოქტომბერთან შედარებით, როდესაც კვიპროსმა ჰოლანდიასთან 0:4 წააგო, თუმცა ისიც კარგად იცის, ვის ხვდება:

„სტუმრად ჰოლანდიასა და პორტუგალიასთან ნათამაშევი ფრეების შემდეგ, ჩემი აზრით, ირლანდიის ნაკრები ჯგუფის ფავორიტია. ვიცი, რომ იგი უმაღლესი ევროპული კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ მე საკუთარი მოთამაშეებისა მწამს. ჩვენ მოედანზე მოსაგებად გავალთ და დიდი იმედი მაქვს, რომ მოვიგებთ კიდეც".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:6 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 3:14 | 0 |

## III ჯგუფი

### ჩრდილოეთ ირლანდია — ჩეხეთი
### ბულგარეთი — ისლანდია
### მალტა — დანია

**ჩრდილოირლანდიელები** „უინძორ პარკზე" ჩეხეთის ნაკრებს დაუხვდებიან. ბრიტანელთა მწვრთნელი რემი მაკილროი თვლის, რომ მის გუნდს ძალიან სერიოზული და რთული მატჩი ელის. ჩეხები სამ თამაშში მოგროვებული 7 ქულით ჯგუფში პირველები არიან. ცხადია, დღესაც იმას შეეცდებიან, რომ სტუმრად სამი ქულა მოიპოვონ და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცონ. „საერთო აზრი ორად იყოფა — ბრძანებს მაკილროი — ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენ წავაგებთ, თუმც არიან ისეთებიც, რომელთაც სჯერათ, რომ ძალიან ძლიერ ჩეხეთის გუნდთან გამკლავება შეგვიძლია".

ათთვიანი ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და ჩრდილოირლანდიელებს დაბრუნდა მაიკლ ჰიუზი. სანაკრებო შეკრებაზე ჩასვლამდე შეტევის ნახევარმცველმა „უიმბლდონის" შემადგენლობაში „ბლეკბერნის" წინააღმდეგ გოლიც გაიტანა. მაკილროიმ „ბლეკბერნის" ნახევარმცველი კიტ გილესპიც გამოიძახა, თუმცა იგი ვარჯიშისას მსუბუქად დაშავდა და, შესაძლოა, ჩეხებთან ვერ ითამაშოს. მასპინძლებს ვერც „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი ჯეფ უიტლი დაეხმარება, მას მუხლის ტრავმა აწუხებს.

ჩეხებზეც ვთქვათ. მთავარი ამბავი — სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება შეცვალა „მალკეს" ნახევარმცველმა ირჟი ნემეცმა და არჩია, ჯერჯერობით ეროვნულ გუნდს დაეხმაროს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩეხებს დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი მოთამაშე — ფიორენტინელი ტომაშ რეპკა და აინტრახტელი კარელ რადა აკლიათ და მწვრთნელმა იოზეფ ხოვანეცმა ამჯერად ნემეცს სთხოვა ნაკრებში დაბრუნება.

„გვიძლევს შანსი, დავამტკიცოთ, რომ ძლიერ მეტოქეებთან ტოლად გაჯიბრება შეგვიძლია" — ეს გახლავთ ჩრდილოირლანდიელთა თავკაცის საბოლოო სიტყვა.

ჯგუფის მეორე თამაშში დანია მალტას სტუმრობს. მასპინძლები ბოლო ადგილზეა, სტუმარი კი ხუთი ქულით — მეორეზე. კარგა ხნის ცნობილი და მთავარი ამბავი სკანდინაველთა ბანაკიდან ის გახლავთ, რომ პიტერ შმაიხელმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. ასე რომ, ამიერიდან დანიელთა კარს სანდერლენდელი ტომას სორენსენი დაიცავს. შმაიხელმა ნაკრებში 129 შეხვედრა ჩაატარა, ცოტა ხნის წინ კი განაცხადა, ეროვნულ გუნდში თამაშს თავს ვანებებ, ამიერიდან მხოლოდ ლისაბონის „სპორტინგში" გავირჯებიო.

ბულგარეთი კი სოფიაში ისლანდიას დაუხვდება. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს რონ კარილოვი, თუმცა იგი გუნდთან ერთად ემზადება, რათა ოთხი დღის მერე ჩრდილოეთ ირლანდიასთან საბრძოლველად გავიდეს მინდორზე. ნაკრების ხელმძღვანელთა განცხადებით, გუნდში სხვა სერიოზული დანაკლისი არაა, ყველა ჯანმრთელია.



კეით გილესპი: ან ჰო, ან არა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |

## IV ჯგუფი

### შვედეთი — მაკედონია
### თურქეთი — სლოვაკეთი
### აზერბაიჯანი — მოლდოვა

**ამ ჯგუფის** ცენტრალური მატჩი თურქეთში გაიმართება. ბუნებრივია, ლიდერთა შეხვედრაა. გასული სეზონი თურქეთმაც და სლოვაკეთმაც ორ-ორი მოგებით, თითოერით და შესაბამისად შვიდ-შვიდი ქულით დაასრულეს.

მასპინძლებს ერთპიროვნულად გალიდერების მშვენიერი შანსი აქვთ, თურქეთის ნაკრები ხომ შინაურ კედლებში სლოვაკეთზე ბევრად ძლიერიცაა და თანაც ძნელად გასატეხია და რაღა გასაკვირია, რომ უპირობო გამარჯვებას გეგმავენ შენოლ გუნეშის „ლომები", მაგრამ სლოვაკეთის ნაკრები რომ ხელწამოსაკრავი არაა, ესეც უდავოა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის განვლილ სამ მატჩში სლოვაკებს გოლი არ გაუშვიათ, ისე კი შინაურ კედლებში შვედეთის დამარცხების ჩინებული შანსი დაკარგეს. მაშინ ფაქტიურად არ გაუმართლათ სლოვაკებს. ოთხი ქულა ოთხ დღეში — ასეთია სტუმართა გეგმა, ოღონდ ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ერთი ქულის აღება სამისაზე ძნელია. 28 მარტს სლოვაკები აზერბაიჯანელებს მასპინძლობენ და ფაქტობრივად, სამი ქულა გარანტირებული აქვთ. აი, თურქეთში ქულის მოპოვება კი მართლაც რიგიანი შედეგი იქნება.

შვედეთი — მაკედონიის მატჩშიც ფავორიტი მასპინძლები არიან. თუ ეს მატჩი ვერ მოიგეს, შვედთა მთავარ მწვრთნელ სოდერბერგს ვებ თანამდებობის დატოვებაც მოუხდეს. მას ერთის აკრიტიკებენ სამშობლოში და საკვირვა, მორიგი ფეხის დაცდენა აპატიონ. კრიტიკის მიზეზები კი შვედეთში ნამდვილად აქვთ. სხვა თუ არაფერი, მათ ნაკრებს სამ შეხვედრაში ორად ორი გოლი აქვს გატანილი და ამდენჯერვე საწყალებრივად არის მარცხს გადარჩენილი.

განსაკუთრებით დიდი რისხვა შვედებს გასული წლის ბოლო ტურში დაატყდათ, როცა თურქეთთან შინ ვერ მოიგეს და საყარაულეა, რომ მაშინდელ შეცდომებს დღეს აღარ გაიმეორებენ. მაკედონიელები კი მაქსიმუმ ფრეზე თუ იოცნებებენ, მაგრამ ერთის გაუმჯობესებით სასურველი შედეგის მიღწევა.

აზერბაიჯან — მოლდოვის მატჩში, შესაძლოა, მასპინძლებმა პირველი ქულები მოიპოვონ. თანაბარი კლასის მეტოქეებთან კავკასიელები ფეხბურთის სამოშიო არიან შინაური ხარბიელზე. იმაში კი ალბათ, დამეთანხმებით, რომ აზერბაიჯანის და მოლდოვის ნაკრებებს შორის დიდი სხვაობა არაა. ბოლო ტურში ჩვენმა მეზობლებმა ლამის ქულას დაავჯერეს თურქები. მაშინ სტუმრებმა მატჩის ბოლოსკენ გაიტანეს გამარჯვების გოლი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ე ვ რ ო პ ა

## V ჯგუფი

### უკრაინა — ბელარუსი
### ნორვეგია — პოლონეთი
### სომხეთი — უელსი


REUTERS კოლაჟი

ანდრეი შევჩენკო

**რაოდენ** საოცარიც უნდა იყოს, ჯგუფის ლიდერი ნორვეგია ან უკრაინა კი არა, პოლონეთია.

დღეს პოლონეთის ეროვნული გუნდი ის აღარაა, რაც 1974 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე იყო, მაგრამ არც ის უსახური გუნდია, რომელსაც სულ რაღაც ერთი წლის წინ შეეძლო ზედიზედ შვიდ მატჩში ერთი გოლიც ვერ გაეტანა.

„არცთუ დიდი ხნის წინ თამაშების დაწყებამდე ვაგებდით, საკუთარი თავის არ გვჯეროდა, ახლა კი ნებისმიერ მეტოქეს შევებრძოლებით" — თქვა პოლონელთა მეორე მწვრთნელმა ედვარდ კლეინდიშტმა.

პოლონელთა უპირველესი იმედი მოქალაქეობაშეცვლილი ნიგერიელი ემანუელ ოლისაბელეა, რომელიც პოლონელთა გატანილი ექვსი გოლიდან ოთხის ავტორია. ოლისაბედეს თავდასხმაში აინტრახტელი პაველ კრიჟალოვიჩი შეუერთდება, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე კი ფეიენოორდელი მეკარე ირჟი დუდეკი და გელზერკირხენელი მცველი ტომაშ ვალდოხი იზრუნებენ. სხვათა შორის, „კიკერმა" ვალდოხი 2000 წელს ბუნდესლიგის საუკეთესო მცველად დაასახელა.

ნორვეგიელები კი მეტად შავ დღეში არიან — სამ თამაშში ოდენ ორი ქულა აუღიათ. ერთი წაგებაც და მშვიდობით კორეა-იაპონიაზე ოცნებავ, შანსი უსაშველოდ შემცირდება. კლეინდიშტმა თქვა, არ ვისურვებდი ნილს იოჰან სემბის ადგილზე ყოფნასო. თუმც პოლონელებს ისიც ესმით, რომ კუთხეში მიმწყვდეულ ნორვეგიელებს გააფთრებული ბრძოლის გარდა აღარაფერი დარჩენიათ.

ერევანში ვერ ჩავიდა ტრავმირებული რაიან გიგზი — მანჩესტერელი 21 თებერვლის მერე სათამაშოდ აღარ გასულა, მაგრამ უელსელთა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა გიგზი სანაკრებოდ მაინც გამოიძახა. მწვრთნელის გათვლა ასეთია: გიგზი ნელ-ნელა შედის ფორმაში და თუ ერთი კვირა კარდიფში ინდივიდუალურად ივარჯიშებს, მომავალ ოთხშაბათს უკრაინის წინააღმდეგ თამაშს შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, ჰიუზს ამის დიდი იმედი აქვს. არც სერ ალექს ფერგიუსონი წასულა ამ ვარიანტის წინააღმდეგ, თქვა, რაიანის ტრავმის გამიზეზებისა არ მეშინიაო.

კიევში კი უკრაინელები მეზობელ ბელარუსს ხვდებიან და გამარჯვებული (პოლონეთმა ოსლოში თუ წააგო) ჯგუფის ლიდერად იქცევა.

ვალერი ლობანოვსკიმ საამხანაგოდ სამი ახალწვეული გამოიძახა. სპარტაკელი მცველი ალექსანდრ გრანოვსკი ტრავმირებულ სპარტაკელსავე დმიტრი პარფიონოვს შეცვლის, დანარჩენი ორი კი ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის" ნახევარმცველი სერგეი სნიტკო და კიევის დინამოელი ალექსანდრ მელაშჩენკოა. თუმც ამ სამიდან სერგეი სნიტკოს ძალიან არ გაუმართლა, რადგან ვარჯიშზე დაშავდა და ნოვოროსიისკში დაბრუნება მოუხდა. მას იმით შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ ვალერი ვასილიევიჩის თვალთახედვის არეში მოხვდა.

ეს ფეხბურთელები პირველად მიიწვიეს ნაკრებში და იმიტომ ვახსენეთ, თორემ უკრაინის ნაკრები უპირველესად, ცხადია, ანდრეი შევჩენკოსა და სერგეი რებროვის იმედადაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |

## VI ჯგუფი

### შოტლანდია — ბელგია
### ხორვატია — ლატვია

სავარაუდო შემადგენლობები

შოტლანდია: სალივანი, უეირი, მ. ელიოტი, კ. ბერლი, მატეო, ბარლი, ლამბერტი, ბ. ფერგიუსონი, კამერონი, გალაჰერი, ჰაჩისონი

ბელგია: დე ვლიგერი, დესლანდერი, დე ბოეკ, ვან კაუვენბერგი, ვალემი, ვანდერჰეგე, ბაზუნუ, გოორი, გოლმუჩა, ე. მპენზა, ჰენდრიკი (ან მპენზა)

მსაჯი: ქიმ მილტონ ნილსენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 14:1 | 7 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |

## IX ჯგუფი


SUN

დევიდი და ვიქტორია: ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო

### ინგლისი — ფინეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ს. კემპბელი, ფ. ნევილი, ბატი, მაკმანამანი, ბექჰემი, სქოულზი, ოუენი, ენდი კოული

ფინეთი: ნიემი, ტიჰინენი, ჰიიპია, საარინენი, კუივასტო, კოლკა, ნურმელა, ვაისი (ან რიიჰილაჰტი), ლიტმანენი, იოჰანსონი, ფორსელი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### გერმანია — ალბანეთი

სავარაუდო შემადგენლობები

გერმანია: კანი, ბაინლიხი, ნოვოტნი, ვორნსი, ციკლერი, ბალაკი, იერემიასი, ბოდე, შოლი, ნოივილი, ბიერჰოფი

ალბანეთი: სტრაკოშა, რ. ვატა, ჯუმბა, ჩიპი, ფაკაი, ბელაი, კოლა, მურატი, ფ. ვატა, ტარე, რრაკლი

მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)

**სხვა** დროს და სხვა შემთხვევაში ამ თამაშებზე შეჩერება უპრიანი არც იქნებოდა, თუმცა ინგლისელთა უსუსურმა კოვარტერმა სტარტმა ჯგუფში მდგომარეობა მეტად დაძაბა და ფეხბურთის სამშობლოს ეროვნული გუნდის იაპონია-კორეაში წასვლა ეჭვქვეშ დააყენა.

ლიდერი გერმანია ალბანეთთან ქულების დაკარგვას რომ არ აპირებს, ფაქტია. ამას რაც ინგლისი გვგმავს, მაგრამ ერიკსონის გუნდისთვის ფეხის დაცდენა და უფსკრულში გადაჩეხვა ერთი იქნება. ამიტომაც უფრო ვრცლად ლივერპულურ შეხვედრაზე შევჩერდეთ.

„ენფილდ როუდზე" მასპინძლები ფინელებს დაუხვდებიანო, კი ვამბობთ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ორ სტუმარი, ფაქტობრივად, მასპინძელია — სამი ჰიპია და იარი ლიტმანენი ხომ „ლივერპულში" თამაშობენ. შარშან პრემიერლიგის საუკეთესო ლეგიონერად აღიარებული მცველი და ამ გუნდის ვიცეკაპიტანი ჰიპია ამბობს: „დიდი შანსია, შაბათს სწორედ ჩემმა მეგობრებმა — რობი ფაულერმა, მაიკლ ოუენმა და ემილ ჰესკიმ — შემოგვიტიონ, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებ. საათნახევრით ძმაკაცობას საერთოდ დავივიწყებ, თუმცა საფინალო სასტვენისთანავე ისევ ჩვეულ ურთიერთობას აღვადგენ. არ გეგონოთ, დაცვაში ჩაკეტვას ვაპირებთ. ჩვენ გვყავს იარი ლიტმანენი და სწორედ მისი დიდი იმედი მაქვს, ჩემთავად კი 110 პროცენტის გამცემი კაცი ვარ და არაფერს მოვერიდები". ჰიპიას ისიც ჰკითხეს, ოუენ-ფაულერის დუეტს თუ დაგიპირისპირებენ, ალბათ, თქვენთვის უკეთესი იქნებაო, რაზეც ფინელმა ასე მიუგო — მართლაც კარგი იქნებოდა, მაგრამ ჯერ, ვგონებ, ერიკსონმაც არ იცის, ვის დააყენებს და მაგაზე თავი მე რად ვიმტვრიოო.

მართლაც ძნელი სათქმელია, თუ ვის დაგეშავს შვედი ერიკსონი ფინელების კარზე. ენდი კოულს ეიმედება, რომ ერთ-ერთი შემტევი სწორედ ის იქნება, თუმცა ასე არ ფიქრობს კიდევ ერთი ფინელი მცველი ჰანუ ტიჰინენი, რომელიც ცოტა ხნით „ვესტ ჰემში" იყო განათხოვრებული, ახლა კი ნორვეგიულ „ვიკინგს" დაუბრუნდა. „მართალია, ლონდონელებთან მცირე ხანი დავყავი, მაგრამ ჩემი კარიერის საუკეთესო მატჩი სწორედ იქ ვითამაშე, როცა „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედი" დავამარცხეთ და ინგლისის თასიდან გავაგდეთ. მაშინ კოულმა და მისმა მეწყვილე შერინგემმა ვერაფერი დამაკლეს".

მოკლედ, ფინელები იმედიანად არიან, მასპინძლებს კი საფიქრალი მოსძალებიათ. უპირველესი, კიდევ ერთი ლივერპულელის, სტივენ ჯერარდის ტრავმაა — 20 წლის ნახევარმცველს, ვისაც ბოლო 18 თვეში ნაკრების 9 თამაში გაუცდა, ზურგის სპაზმი აწუხებს. ერიკსონი წუხს ამის გამო და მოთამაშეს ფრანგი ექიმებიც კი დაახვია, მაგრამ ხუთშაბათის ვარჯიშზე ჯერარდმა მსუბუქი სირბილის გარდა ვერაფერი შეძლო. „ვინც პარასკევს ვერ ივარჯიშებს, იმის შაბათს თამაში გამორიცხულია" — განაცხადა ინგლისელთა შვედმა თავკაცმა.

ნაკრების კაპიტან დევიდ ბექჰემს კი, უმთავრესად, ქორწილდელი ფანობა აღელვებს. საამისოდ, იქაურ გულშემატკივარს, ბოლო დროს დასვენებულმა ნახევარმცველმა თხოვნითაც მიმართა — ვგებ ჩემ ცოლ-შვილს თავი გაანებოთო. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ „ლივერპულის" ფანობამ შექმნა ბექჰემის ოჯახის ლანძღვა-გინებით გაჯერებული სიმღერა და მას ყოველთვის მღერიან, როცა „იუნაიტედი" ამ ქალაქში ჩადის. „ჩემს ყველა თამაშს „ენფილდზე" დიდი ნერვიულობა ახლავს ხოლმე, მაგრამ ახლა ეროვნული გუნდი თამაშობს და იმედი მაქვს, საკლუბო ქიშპი დროებით დავიწყებას მიეცემა. ვლელავ — თამაშზე ვფიქრობ თუ ჩემების უსაფრთხოებაზე, არ ვიცი — ამბობს ბექჰემი და ამატებს — „იმედი მაქვს, ნაკრების ჭეშმარიტი გულშემატკივარი შეისმენს ჩემს თხოვნას და მხარს დამიჭერს".

ვიქტორია და ბრუკლინ ბექჰემები, ისევე როგორც სხვა მოთამაშეთა ოჯახის წევრები, დღევანდელ მატჩზე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დაპატიჟა.

და კიდევ, გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა დევიდ სიმენმა, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ მასპინძელთა კარს ლიდსელი ნაიჯელ მარტინი დაიცავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

## VII ჯგუფი

### ბოსნია — ავსტრია
### ესპანეთი — ლიხტენშტაინი


REUTERS ფოტომონტაჟი

მწვრთნელი და მეკარე: ხოსე ანტონიო კამაჩო და რაული

**რას** გაიფიქრებთ, ვინმემ რომ თქვას, ესპანეთის უპრინციპულესი მატჩი ელის ლიხტენშტაინის წინააღმდეგო? გასაგებია, რასაც. არადა, ესპანელთა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ სწორედ ასე თქვა. კამაჩო თავის მოსაზრებას ასეთნაირად ასაბუთებს: „ისრაელს და ავსტრიასაც ეგონათ, რომ ლიხტენშტაინს იოლად გაუსწორდებოდნენ, მაგრამ დიდი ბრძოლა გადახდათ". უნდა ვაღიაროთ, რომ კამაჩოს სიტყვებში სიმართლე ურევია — ავსტრიელებმა უდიავო აუტსაიდერს მხოლოდ 1:0 მოუგეს, ხოლო ებრაელებმა 2:0, მაგრამ ესპანეთს თუ მეტოქის დამარცხება გაუჭირდა, კაპიკი ყოფილა მისი ფასი.

ესპანელებს დღეს ფერნანდო მორიენტესი, ისმაელ ურსაისი და ლუის ენრიკე არ ეყოლებათ. მორიენტესმა ხუთშაბათს ვარჯიშზე კუნთი დაიშავა და ნაკრების ექიმმა ხენარო ბორასმა თქვა, მორიენტესს თამაშის ძალიან ცოტა შანსი აქვსო. რეალელზე ადრე დაიმტვრა ბასკი ურსაისი, ხოლო ბარსელონელმა ნახევარმცველმა ჯერ კიდევ გასულ უქმეებზე „ნუმანსიასთან" მატჩში მუხლი იტკინა.

მორიენტესის და ურსაისის ტრავმებმა ალავესელ ხავი მორენოს კვლავ მისცა ნაკრებში თამაშის საშუალება და რაულთან ერთად შეეცდება მეტოქის კარის დალაშქვრას. გავიხსენოთ, რომ ხავი მორენო პრიმერადივიზიონის ბომბარდირია, მაგრამ წინა თვეში ბირმინგემში ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში პენალტი გააფუჭა, ეს მისი სადებიუტო მატჩი იყო.

ესპანელები მატჩისწინა სამზადისს ტრადიციულად ვალენსიაში გადიან, ხოლო თამაშს ალიკანტე უმასპინძლებს. მადრიდიდან ვალენსიაში გამგზავრების წინ ხოსე ანტონიო კამაჩომ „ბარახასის" აეროპორტში მის გასაცილებლად მისული ჟურნალისტები იცოტავა და აღშფოთდა, როგორც ვატყობ, ნაკრების ბედი ჩემს გარდა არავის ალელვებსო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კუნთისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო" ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი $ 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75

# მეტაფიზიკოს ვერხოვოდის შეგონება: ნუ დარბიხართ ბურთზე მეტს!


პიეტრო ვერხოვოდი

***პიეტრო ვერხოვოდი დიდი კაცია. იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა მცველმა, უმაღლეს დონეზე ლამის ოც წელიწადს ითამაშა. ჯერ კიდევ ოთხმოციანების დასაწყისში კონტისა და ფალკაოს მხარდამხარ თამაშობდა, მერე 12 წელი ვიალი-მანჩინის „სამპდორიის" ერთგული იყო, 1996-ში „იუვენტუსთან" ერთად ჩემპიონთა თასი მოიგო. ბოლოს კი, „პიაჩენცას" შემადგენლობაში მინდორზე 2000 წლის აპრილში გამოჩნდა, როცა 41 წლისა და 10 დღის იყო... ამ მაჩვენებლით ახლა ის მხოლოდ დინო ძოფს ჩამორჩება. იტალიის ნაკრებში კი 1981-93 წლებში 45 მატჩი ჩაატარა.***

***შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ ვერხოვოდი უკრაინელი ემიგრანტის შვილია. მამამისი ივან ლუკიანოვიჩი საბჭოთა ჯარისკაცი გახლდათ, რომელიც გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა და ომის შემდეგ იტალიაში დარჩა. მერე იქაურ ქალზე იქორწინა და 1959 წელს ქვეყანას პიეტროც მოევლინა. ახლა პიეტრო, ანუ პიოტრი სამწვრთნელოდ ემზადება და გულმოდგინედ მეცადინეობს. იტალიურ „კორიერე დელა სერასთან" საუბარიც ამით დაიწყო.***

— ჯერ კიდევ 1977 წელს, „მილანში" თამაშისას კოვერჩანოში სამწვრთნელო კურსებს ვესწრებოდი. როცა დავამთავრე, მესამე და მეორე კატეგორიის დიპლომი მივიღე და „მასტერის" ჯგუფის მეცადინეობებზეც დამიშვეს, რომელიც შარშან ოქტომბერში დაიწყო და წლეულს ივნისში დამთავრდება. უკვე შარშან შემეძლო სერია C-ში მწვრთნელობა, იანვრიდან კი A და B სერიებშიც გამეხსნა გზა.

**— ძოფის რეკორდის დასამხობად სულ რაღაც რვა მატჩი უნდა ჩაგეტარებინათ. გული გწყდებათ, რომ ვერ მოახერხეთ?**

— რა თქმა უნდა. „პიაჩენცაში" თამაშისას ძოფის გადასწრებას ვფიქრობდი, მაგრამ ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა შემიშალა ხელი.

**— „პიაჩენცას" სერია B-ში დაქვეითების მერე მაღალი დივიზიონის სხვა კლუბში მოწყობა არ გიცდიათ?**

— ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. ჩემმა „პროკურატორმა" (აგენტმა) ვიჩენცაში, ბრეშაში და რეჯო კალაბრიაში მოსინჯა ნიადაგი. გამოგიტყდებით, ძოფის რეკორდის გასაუმჯობესებლად მუქთად თამაშზეც ყაბულს ვიყავი და ამაში იმდენად ასაკს არ შეუშლია ხელი, რამდენადაც ჩემპიონატის გვიან დაწყებამ (შეგახსენებთ, იტალიის წლევანდელი ჩემპიონატი ოქტომბერში დაიწყო). სწორედ იმ დროს „მასტერში" გამოცდები უნდა ჩამებარებინა. რეგლამენტის მიხედვით კი იქ სწავლისას პროფესიულ ფეხბურთში თამაში იკრძალებოდა. რა გაეწყობოდა, ბედს შევეგუე.

**— სერია A-ში ოცწლიანი კარიერის შემდეგ უფეხბურთოდ როგორ ცხოვრობთ?**

— კარიერა სულ რამდენიმე თვის წინ დავამთავრე და ბურთი ჯერჯერობით არ მომნატრებია. თანაც ვარჯიში არ მიმიტოვებია და კვირაში ერთი-ორჯერ მეგობრებთან ერთად ვთამაშობ. უმეტესად მინი-ფეხბურთს, რადგან 22 კაცის მოგროვება ჭირს.

**— მწვრთნელობისთვის მზად ხართ?**

— ვფიქრობ, კი. არც გამოცდილება მაკლია და საფეხბურთო წრეებსაც ჩინებულად ვიცნობ.

**— თქვენთვის საუკეთესო მწვრთნელი ვინ იყო?**

— პროფესიული თვალსაზრისით ლიპი და საკი. მაგრამ მთლიანობაში ბოშკოვის დარი არც ერთი ყოფილა. ის საოცარი კაცია, განსაკუთრებულად შეუძლია გუნდის მართვა და ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა. მაგალითად, ისეთ ილუზიას ქმნიდა, თითქოს შემადგენლობას ვიალი და მანჩინი განსაზღვრავდნენ, სინამდვილეში კი ყველაფერი მის ხელში გახლდათ.

**— თქვენ სერია A-ს შვიდ კლუბში გითამაშიათ. რომელი იყო ყველაზე ძლიერი?**

— „რომა", 1983 წელს „სკუდეტო" რომ მოიგო. იქ ფალკაო, კონტი, პრუცო, ანჩელოტი, პროჰასკა თამაშობდნენ. დიდებული გუნდი გახლდათ, რომელსაც შეეძლო 80 წუთი ბურთი ეკონტროლებინა.

**— პრიზებიდან რომელია ყველაზე ძვირფასი?**

— ჩემპიონთა თასი, რომელიც „იუვენტუსთან" ერთად 1996 წელს მოვიპოვე. მაშინ უკვე 37 წლის გახლდით და ასეთ წარმატებას პირველად მივაღწიე. იგივე „სამპდორიასთან" ერთადაც შემეძლო, მაგრამ ფინალში „ბარსელონასთან" წავაგეთ.

**— თქვენ თავდამსხმელთა სამ თაობასთან გითამაშიათ. ვისთან უფრო გიჭირდათ?**

— ვან ბასტენთან. ის ორივე ფეხით ჩინებულად თამაშობდა და უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო. რონალდო მოულოდნელი გადაწყვეტილებებით მაკვირვებდა, ფიოლერი და კარეკა — სისწრაფით.

**— ნაკრებში 45 მატჩი ჩაატარეთ. ცოტა არ არის?**

— დიახ. როცა მწვრთნელად ვიჩინი დანიშნეს, მან თითქმის მთელი ახალგაზრდული ნაკრები ძირითადში გადმოიყვანა. ეს 1986 წელს მოხდა და 1990-მდე ცისფერი მაისურა არ მღირსებია.

**— ახალი ვერხოვოდი თუ გამოჩნდა?**

— რაღაც ვერ ვხედავ. ნესტა ძალიან ძლიერი და საიმედო მცველია, მაგრამ მე შეტევებში უფრო ხშირად ვერთვებოდი, აკი 38 გოლიც გავიტანე, რაც მცველისთვის არცთუ ცოტაა. უფრო კანავარო მგავს. ამათ გარდა, დღეს მართლაც ღირებული ფეხბურთელები ცოტანი არიან და არა მარტო დაცვაში.

**— ამ ოც წელიწადში რამდენად შეიცვალა ფეხბურთი?**

— ძალიან შეიცვალა და სამწუხაროდ, ცუდისკენ. ახლა ფანტაზია ნაკლებია, უფრო ფიზიკურ მომზადებას აქცევენ ყურადღებას. შესაძლოა, სისწრაფე გაიზარდა, მაგრამ ოცი წლის წინათ ბურთი გაცილებით სწრაფად დაფრინავდა.

**სოლომონ ბულისაშვილი**

## პორტუგალია

### თასის ნახევარფინალი

**პორტუ 2:1დ.დ. (1:1) სპორტინგი**

0:1 ბეტუ სევერუ (13), 1:1, 2:1 ნუნუ კაპუშუ (30, 100)

**ბოავიშტა 0:1 მარიტიმუ**

0:1 პაულუ სერჟიუ (31)

ფინალში 10 ივნისს, ლისაბონში, ეროვნულ სტადიონზე ერთმანეთს „პორტუ" და „მარიტიმუ" შეხვდებიან

## ისრაელი

### თასის მეოთხედფინალის წილისყრა

პაპოელი (ბეერშევა) (II) — მაკაბი (ჰაიფა) ან ცაფრირიმი (ჰოლონი); ირონი (ქირიათ ატა) (II) — მაკაბი (ფეთახ თიკვა); მაკაბი (ნეთანია) — მაკაბი (თელ ავივი); ირონი (რიშონი) — პაპოელი (თელ ავივი)

მატჩები გაიმართება 10 აპრილს

## Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

**I ჯგუფი. IV ტური**

**ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) 4:0 ველეს სარსფილდი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო ხუნიორი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| როსარიო სენტრალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| ველეს სარსფილდი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| უნივერსიტარიო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

**II ჯგუფი. IV ტური**

**სპორტ ბოიზი (ეკვადორი) 0:4 სერო პორტენო (პარაგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| პალმეირასი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| უნივერსიდად დე ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| სპორტ ბოიზი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

**ნუთუ** არასდროს გიფიქრიათ, ცხოვრებაში ეს ასე კი არა, ისე რომ მომხდარიყო, დღეს რა იქნებოდაო? გაუგებრად ვამბობ, არა? ახლავე შევეცდები უფრო მარტივად მოვახერხო. აი, მაგალითად, ჩემს ბავშვობაში, ბიჭებს ხშირად გვითქვამს, რა მოხდებოდა საბჭოთა კავშირში არ დავბადებულიყავითო და მერე მიდიოდა რაღაცეების წარმოდგენა, მაგალითად, იტალიელები რომ ვყოფილიყავით და ასე შემდეგ. ბოლოს ყველაფერი აუცილებლად იმით მთავრდებოდა, რომ, რომელიმე ხუმარა იკითხავდა, რას აირჩევდით, ამერიკაში დაბადებულიყავით და დღე და ღამ ჟღლინტი ჩამოგსვლოდათ თუ აფრიკაში ჯანმრთელი ზანგები ყოფილიყავითო.

ახლა, ამდენი წლის შემდეგ კოსმოპოლიტური ბიუროს ოფისში ჩამჯდარს თავში ასეთი კითხვა მომივიდა: ვინ იქნებოდა რობერტო კარლოსი, ფეხბურთელი რომ არ გამოსულიყო?

კარლოს რობერტო — ბრაზილიელი ფეხბურთელი. თმას იხოტრავს. ვერ გაიგებ იღრიჯება თუ პროსტო ეგეთი ტიპია. მარცხენა ფრთაზე წინ და უკან გიჟივით დარბის. ძალიან ღონივრად არტყამს ბურთს. თუ კარში დაუმიზნა, გოლია და ეგ არი.

მე თუ მკითხავთ, რობერტო კარლოსი ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყო, თევზის მაღაზიაში მტვირთავი იქნებოდა. წარმოიდგინეთ, მაღაზიას მოადგა საბარგო მანქანა. მძღოლი კაბინიდან გადმოხტა, მანქანას შემოუარა და საბარგული გახსნა. იქ თევზით სავსე ყუთები აწყვია. ამ დროს მაღაზიიდან მოკლე, ჩქარი ნაბიჯით გამოდის დაბალი, ხოტორა, ფეხებდაგრეხილი ბიჭი და იღრიჭება, ასე ღრეჭვა-ღრეჭვით მიდის საბარგულთან, ზურგზე თევზიან ყუთს იკიდებს, წელში იხრება და ჰოპ, ჰოპ, ჰოპ...

ამ დროს, მძღოლს, რომელიც ცოტა ისეთი ბიჭია... როგორ გითხრათ... აი, ცოტა უქმუის რა, თავი შიგნიდან მოუფხანია, ანცობის იდეა მოსდის, წახრილ ღრეჭიას წამოეწია და პანღურს ამოჰკრავს.

ახლა, იკითხავთ რატომო. იმიტომ, რომ ის მძღოლი — რიბნი ბაზიდან მაღაზიებში თევზიანი ყუთების ჩამომტარებელი — ედმუნდოა, რომელიც ფეხბურთელი არ გამოვიდა.

ედმუნდო — ბრაზილიელი ფეხბურთელი. თავდამსხმელი, რომელზეც ამბობენ ძალიან მაგარიაო. ერთხელ, „მანჩესტერ იუნაიტედს" მართლა მაგარი ფინტი გაუკეთა და ამით თბილისში ბევრის გული გაახარა, ბევრისაც დაკოდა და დახია. შიგადაშიგ ციხეში ჯდება. აქვს ისეთი პერიოდებიც, ღამე რომ ციხეშია და დღისით სტადიონზე.

პატარა და დაღრეჯილი წაბარბაცდა. საწყალი, თან იმას ცდილობს, ყუთი არ დაუვარდეს, თორემ ზარალისთვის მაღაზიის პატრონი სამსახურიდან დაიფრენს, თანაც ბოღმა ახრჩობს და სულელი-ვირიშვილისთვის პასუხად თავისი ღონიერი წიხლის ამორტყმა უნდა. სულელი-ვირიშვილი კისკისებს და რაღაცნაირ ჟესტებს აკეთებს.

ამის შემყურე, გვერდზე რომ ღია სასადილოა, იქიდან მზარეული გამოდის. მზარეული მშვიდი და წესიერი ბიჭია, ცოლ-შვილი ჰყავს და უყვარს კიდეც. მართალია, მეტყველება უჭირს — არა, ბლუ არ გეგონოთ, უბრალოდ, ენა არ იცის, მშობლიურიც კი — მაგრამ სიმართლისთვის გული ეწვის. ჰო, მართლა, დედ-მამაც უყვარს. ისე, ობობას კი ჰგავს. ჰოდა, ეს ბიჭი სულელ-ვირიშვილს უახლოვდება, ძალიან მშვიდად, ძალიან სამართლიანად და შიგ დინგში აფინთიხებს.

ალბათ, მიხვდით, რომ ესეც ვიღაცაა... დიახ, ეს არის რივალდო, რომელიც ფეხბურთელი არ გამოვიდა.

რივალდო — ბრაზილიელი ფეხბურთელი. მართლა მაგარია. მართლა უყვარს ცოლ-შვილი.

ამ აურზაურის შემყურე, იქვე სადარბაზოსთან ჩაცუცქული, გახუნებულ ლურჯბეზრუკავკიანი ზანგის ბიძა დგება. ის რაღაცნაირად ახერხებს შუაში ჩადგომას ისე, რომ აქეთ ობობას ამშვიდებს — თუმცა ეს ხომ ისედაც მშვიდია — იქით იმდენს ახერხებს, რომ დაღრეჭილის წიხლი ჰაერში მოქნეულადღა რჩება — დაღრეჭილი უარესად იღრიჭება — ცალკე კიდე სულელ-ვირიშვილს აჩერებს.

— ახლა მისმინეთ, შვილებო — იწყებს მერე ბიძა — აი, ამ სადარბაზოსთან ჩაცუცქულმა გავატარე სამოცი წელიწადი. ცხოვრებაში თითი თითზე არ დამიდია. თქვენ ხომ მაგრები ხართ და კიდევ უფრო მაგრები ჩემს დროს იყვნენ და მე მათ შორის ვიყავი გამორჩეული. იცი, რა მაგარი ვიყავი? ერთხელ, თექვსმეტი წლისა დიდმა ბიჭებმა ბაზარში წამიყვანეს...

ბიძამ ისევ ჩაიცუცქა, ხალხი ისე შემოიკრიბა, როგორც რაღაცის მეფემ ამალა და წინა კბილებს შუიდან წვრილ ნაკადად გადააფურთხა...

**ბაჩუნა ძიძია**

**ამათ ჭინაზე, ვინც დღეს რამეზე ინერვიულოს...**





# თურქები ლუჩესკუს მუქთად ამუშავებენ


მირჩა ლუჩესკუ: ნეტავ, როდის იქნება ხელფასი?

**უეფას თასის** გათამაშების შარშანდელმა ტრიუმფატორმა სტამბოლის „გალათასარაიმ“ ევროპული საფეხბურთო სამყაროს ძლიერთა კარიბჭე მძლავრად შეაღო და წლეულსაც საკმაოდ ამბიციურად გამოიყურება. გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც დამაჯერებლად გავიდა და ახლა თვით მადრიდის „რეალზე“ ილესავს კბილებს.

სტამბოლელთა რუმინელი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ ოდნავადაც კი არ უფრთხის ესპანელთა გოლიათურ იმიჯს: „მართალია, „რეალი“ დღეს ევროპაში საუკეთესო კლუბია, მაგრამ „გალათასარაი“ თავს არ შეირცხვენს. დიდი გამოცდა გველის. ჩვენ ამისთვის მზად ვართ“ — თითქოს თავმდაბლურად განუცხადა რუმინელმა ჟურნალისტებს, თან ის ფაქტიც არ დაივიწყა, რომ „გალათასარაი“ — „რეალის“ სუპერფინალური თამაში თურქთა გამარჯვებით 2:1 დამთავრდა.

ნამდვილად მოსაწონია მირჩა ლუჩესკუს შემართება, მაგრამ საკვირველი მისი ენთუზიაზმია. საქმე ის გახლავთ, რომ სამშობლოდან მოწყვეტილ კაცს კუთვნილი გასამრჯელო თითქმის ერთი წლის მანძილზე, გასული წლის 1 ივლისიდან, თვალით არ უხილავს. 1 ივლისი კი ის თარიღია, როდესაც მწვრთნელმა კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. მირჩა ლუჩესკუ საკუთარ სიდუხჭირეს აღნიშნავს, მაგრამ დიდად არ შფოთავს და არც წუწუნებს. იგი საკრედიტო ბარათებითაც იოლად გადის. გარდა ამისა, მამას საკუთარი შვილიც ძალიან აფასებს და ფინანსურადაც ხშირად ეხმარება.

მართლაც საკვირველია დღევანდელ ფეხბურთში და საერთოდ დღევანდელობაში საზოგადოებრივ საწყისზე მომუშავე მაღალი კლასის პროფესიონალი, მაგრამ ლუჩესკუ სხვა კაცი ყოფილა. იგი, ალბათ, „გალათასარაის“ ხელმძღვანელობის შემხედვარე კვლავ გააგრძელებს ნისიად ცხოვრებას, რევზან ლუჩესკუსაც არ მოსწყინდება მამის სპონსორობა და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. მისი დამოძღვრილი გუნდი ახალი სიმაღლეებისკენ განაგრძობს მზერას, რაღა თქმა უნდა, შიშველი ენთუზიაზმითა და კაცობით ცნობილ მირჩა ლუჩესკუსთან ერთად.


ერთ დროს მარსელელ ლორან ბლანს შინაურებში თამაში მოენატრა

# ბლანის ნოსტალგია

## მამალი შინაური ფრინველია

**მილანის** „ინტერის“ ვეტერან მცველს, ფრანგ ლორან ბლანს იტალიაში დარჩენა აღარ სურს. თუმც კლუბთან კონტრაქტი გაისად სეზონის ბოლოს უმთავრდება. „ინტერში“ ორი არც თუ ურიგო სეზონი ჩავატარე, მაგრამ არავინ იცის, როგორ წარიმართება მომავალ წელს მოვლენები — განაცხადა „ფრანს ფუტბოლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ოცდათხუთმეტი წლის მცველმა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა კაპიტნის დამსახურება ფრანგული ფეხბურთის წინაშე მართლაც რომ დიდია, ხანგრძლივი კარიერის მანძილზე გამოცდილ მცველს „მონპელიეს“, „ნიმის“, „სენტ-ეტიენის“, „ოსერის“, „ოლიმპიკის“, „ბარსელონას“, „ნაპოლის“ რიგებში უთამაშია და მიუხედავად თავისი ამპლუისა, ოფიციალურ მატჩებში ასზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

ბლანმა ინტერვიუში ისიც თქვა, რომ ბობოლა ფრანგული გუნდები, რომლებიც მისი დარი ფეხბურთელის ფინანსური ინტერესების დაკმაყოფილებას ვერ შეძლებენ, საეჭვოა შემდეგ სეზონში რომელიმე ევროტურნირზე მოხვდნენ. მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ ფეხბურთს გვარიანად მობერებულა კაცი, იქნებ ნოსტალგიამოძალებულიც იტალიაში ჭაპანწყვეტას სამშობლოში დაბრუნებას და შინ ლაღად ბურთის გორებას ამჯობინებს.


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

NEBL ჩელენჯ კაპი

საქართველოს ჩემპიონი ბათუმის „ბასკო“ დამარცხებული დაბრუნდა შვედეთის ქალაქ სუნდერტელიედან, სადაც ჩრდილოეთ ქვეყნების საკალათბურთო ლიგის (NEBL) მეორე დივიზიონის, იმავე „ჩელენჯ კაპის“ მეორე ტური გაიმართა. ბათუმურ ტურში გამარჯვებით შეგულიანებული „ბასკო“ შვედეთშიც პირველობას გეგმავდა, მაგრამ საპირისპიროდ კი მოხდა — ლიტვის „ალიტასთან“ დამარცხების შემდეგ ჩვენებურებმა ჰოლანდიურ „კონეკტოსთანაც“ წააგეს და საბოლოოდ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. ეს კი ნიშნავს, რომ „ბასკომ“ NEBL-ის პირველ დივიზიონში ასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა.

# ბასკოსთვის ალიტაც ელიტაა

— ამ მარცხმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ საშუალო ევროპულ დონემდეც კი ჯერ ბევრი გვიკლია — გვითხრა ზღვისპირელთა მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ, რომელსაც გუშინ ბათუმში დავუკავშირდით — ლიტვის „ალიტასთან“ მატჩი, მოგეხსენებათ, გადამწყვეტი იყო „ბასკოსთვის“, ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოგვეგო, მაგრამ რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არაა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ გუნდის თამაშის ამსახველი ვიდეომასალაც ვერ ჩავიგდეთ ხელში და მხოლოდ მშრალი სტატისტიკური მონაცემებით შევიქმენით მეტოქეზე წარმოდგენა. ეს კი „ალიტას“ დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ ეს იყოს. ხელისშემშლელი ფაქტორი სხვაც ბევრი იყო, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ „ალიტამ“ აშკარად გვაჯობა.

**— მოგება გამორიცხული იყო?**

— სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე გამარჯვებას „ალიტა“ იმსახურებდა. ამ გუნდმა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, უკლებლივ ყველა კომპონენტში ჩინებულად იყო მომზადებული. ლიტველთა მთავარმა მწვრთნელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე აღნიშნა კიდეც, რომ ამ შეჯიბრის ძალიან სერიოზულად ეკიდებოდნენ და შვედეთის ტურამდე გუნდმა ამერიკაში და პოლონეთში გაიარა შეკრება.

**— როგორ ფიქრობთ, „ბასკო“ სათანადოდ იყო მომზადებული?**

— ბათუმში სავარჯიშოდ ყველანაირი პირობა გვაქვს შექმნილი, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. აშკარაა, რომ გუნდს საერთაშორისო თამაშების გამოცდილება არ აქვს, პრაქტიკა აკლია. მხოლოდ საქართველოს პირველობაზე თამაშით შეუძლებელია ევროპაში წარმატების მიღწევა.

**— „ალიტასთან“ მატჩის ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ბასკო“ ვერც კი შეეწინააღმდეგა მეტოქეს.**

— მართალია, 28 ქულით წავაგეთ, მაგრამ სოლიდური უპირატესობას მოწინააღმდეგემ ბოლოსღა მიაღწია. სამი მეოთხედის განმავლობაში მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში მიდიოდა და მხოლოდ მეოთხე პერიოდში გაგვექცა „ალიტამ“. ამ მატჩში ილბალმაც ზურგი გვაქცია, მეორე ათწუთეულში სამი წამყვანი მოთამაშე დაგვიშავდა, კილაძემ და ორმოცაძემ ფეხი იღრძეს, როუჯერსმა კი თითი იღრძო. ამის მერე იძულებული გავხდით, ახალბედა, გამოუცდელი მოთამაშეებს დავყრდნობოდით და ასეთი სხვაობით მარცხიც ამან განაპირობა.

**— ერთიცაა, ნებისმიერი რანგის შეჯიბრში პირველ მატჩში ქართველ გუნდებს რატომღაც ყოველთვის უჭირთ თამაში.**

— ეს ნამდვილად ასეა და, ვფიქრობ, ესეც გამოუცდელობის ბრალია. სასტარტო მღელვარებით გამოწვეული ფსიქოლოგიური წნეხი აქილევსის ქუსლად იქცა ჩვენთვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შედეგზე მგზავრობამაც დიდი გავლენა იქონია. შვედეთში რომ ჩავედწია, 24 საათი ვიფრინეთ, რამაც ბიჭები დაქანცა და მათ დაკარგული ენერგია ვეღარ აღიდგინეს. ამიტომ, სხვა დროს ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია, ამ დონის ტურნირზე გამგზავრებისას ყველა ნიუანსი ზედმიწევნით უნდა გაითვალო. გაუფრთხილებლობის გამო იყო, რომ შვედეთში „მაკაბის“ ფლოიდ ტუჯანიც ვერ ვიახლეთ, იგი თურქეთის საზღვრიდან გამოვაბრუნეთ უკან, რადგან საბუთები ჰქონდა მოუწესრიგებელი.

**— ჰოლანდიის „კონეკტოსთან“ მარცხზე რას იტყვით?**

— ესეც კარგი გუნდი იყო, სამი ამერიკელი ლეგიონერი ჰყავდა, თუმც გამარჯვება ნამდვილად შეგვეძლო. ამ მატჩში „ბასკოს“ პოტენცია სრულად გამოჩნდა, მაგრამ შემადგენლობა აღარ გვყავდა, სამივე ტრავმირებულმა მოთამაშემ გამოტოვა ეს შეხვედრა. „კონესკოსთან“ კარგად წარმოაჩინა თავი „ბასკოს“ რუსმა ახალწვეულმა სერგეი დროგანოვმა და მას აუცილებლად დავიტოვებთ გუნდში.

**— შვედეთის ტური „ბასკოსთვის“, ალბათ, ჭკუის სასწავლებელი იქნება. მომავალში რა ცვლილებებით წარმართავთ გუნდში მუშაობას?**

— სამუშაო ყოველმხრივ ძალიან ბევრია, ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება, ჩვენი ფიზიკური და ტაქტიკური შესაძლებლობები შეგვემოწმებინა და ნათლად დავინახეთ, რომ საქმე თავზესაყრელად გვაქვს. ერთადერთი, რაც მხიამოვნებს, ისაა, რომ კალათბურთელებმა თავიანთი რეალური ძალა დაინახეს და სავარაუდოა, რომ მომავალში მეტად მოინდომებენ.

**— გაისადაც მიიღებთ მონაწილეობას „ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში?**

— ეს უკვე კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, მათ უნდა ჰკითხოთ. ისე, „ბასკოსთვის“ ყოველმხრივ მომგებიანია ჩრდილოეთ ლიგაში თამაში. იმედი მაქვს, NEBL-ის ჩემპიონატში მომავალ წელსაც ჩავებმებით და გაისად მაინც მოვიპოვებთ პირველ დივიზიონში ასპარეზობის უფლებას.

**ზიორბი ბიბაშვილი**

## თურქეთი

XXII ტური

**ანტბირლიკი — დარუშშაფაკა 69:102, ბეიქოზ კოლეჯი — ეფესი 66:89, გალათასარაი — ალთაი 95:63, ქომბასანი — ფენერბაჰჩე 79:92, მაიდენოსი — ბეშიქთაში 84:71, ტროი — ტიულეკომი 92:97**

**ულქერი 112:95 ქარშიაკა**

**ულქერი: ლოლისი (2), პენდლეტონი (27), ტურკოღლუ (10 წუთი, 2 ქულა, 4 მოხსნა), გოლოვეგინ (29), ერდენი (28), გიულერი (6), ამიკე (6), ილდირიმი (8), სარიკა (6)**

**ქარშიაკა: გაჯიმური (9), ბაში (16), ჯამბერი (2), თურქმანი (16), ჯონსონი, მზგელაძერი (21), დურმაკლარი (7), გორმეზი (8), ჯილიამსი (17)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 22 | 18 | 4 | 1984:1684 | 40 |
| დარუშშაფაკა | 22 | 18 | 4 | 1775:1582 | 40 |
| ეფესი | 22 | 18 | 4 | 1915:1674 | 40 |
| ტიულეკომი | 22 | 16 | 6 | 1877:1748 | 38 |
| ფენერბაჰჩე | 22 | 15 | 7 | 1837:1704 | 37 |
| ბეშიქთაში | 22 | 13 | 9 | 1842:1754 | 35 |
| ტროი | 22 | 11 | 11 | 1874:1855 | 33 |
| ქარშიაკა | 22 | 9 | 13 | 1887:1921 | 31 |
| მაიდენოსი | 22 | 8 | 14 | 1705:1732 | 30 |
| ქომბასანი | 22 | 8 | 14 | 1784:1958 | 30 |
| გალათასარაი | 22 | 8 | 14 | 1665:1710 | 30 |
| ბეიქოზ კოლეჯი | 22 | 7 | 15 | 1800:1859 | 29 |
| ანტბირლიკი | 22 | 3 | 19 | 1699:2127 | 25 |
| ალთაი | 22 | 2 | 20 | 1654:1990 | 24 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიას სეზონის რეკორდი



ატლანტა — სან ანტონიო. დევიდ რობინსონი (№50) და ატლანტელი ჰანო მოტოლა

REUTERS

22 მარტი

**ნიუ ჯერსი 98:83 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი: მარბური (17 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ნიუმენი (14), მარტინი (22), ვან ჰორნი (19 ქულა, 13 მოხსნა), უილიამსი (2); ა. უილიამსი (9), სტეფანია (12 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა), ოვერტონი (3), ჯექსონი (2), სამაკი (2)**

**ბოსტონი: ბრაუნი (2), სტიტი (8), პირსი (44), უოლკერი (29), ბლოუნტი (2); პოტაპენკო (13), ე. უილიამსი (6), მაკკარტი (6), პოლასი (2), მუასი (2), გრიფინი**

კარგა ხანია, ვლადიმერ სტეფანია ამდენი დროით არ შერჩენია მოედანს. 12 წუთი არც ისე ბევრია, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ ამდენი ჩვენებურს ბოლო ორი თვეა, არ უთამაშია. ამასთან, ეს 12 წუთი ვოვას სრულიად ეყო, დაემტკიცებინა, რომ თამაში ჯერაც შეუძლია. ამაზე მის მიერ მოხვეჭილი რვა ქულაც მეტყველებს, რაც სხვისთვის იქნებ არაფერია, ჩვენებურისთვის კი სეზონის რეკორდია. ვოვამ ერთი სამქულიანი ააცილა, ოთხი ორქულიანიდან სამი ჩააგდო და ორივე საჯარიმოსაც მეტოქის კალათში მიუჩინა ადგილი. ამავე დროს ოთხი ბურთი მოხსნა, ორ-ორი საკუთარ და მეტოქის ფარზე და თითქმის არ დაუშვია შეცდომები. ასე რომ, შეიძლება ითქვას, სტეფანიამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. ვოვა ბოლო მეოთხედში გამოჩნდა მოედანზე, ბოლომდე შეუცვლელად ითამაშა და თავისიანთა გამოფხიზლებაც შეძლო. „ნიუ ჯერსიმ“ ბოლო მეოთხედი 29:18 მოიგო, მაგრამ ადრე წაგებულ საქმეს რას უშველიდა.

სტეფანიას ამდენი ხნით თამაშის, ისევე როგორც „ნიუ ჯერსის“ მარცხის მიზეზი, „ბადეთა“ ახალბედა კენიონ მარტინი გახლავთ, უფრო ზუსტად, მისი ტრავმა. ისევე როგორც სტეფანია, ეს ჯეელიც სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს ატარებდა და მარტო პირველ ნახევარში ოცი ქულა ჩაუგდო მეტოქეს, მესამე მეოთხედის დასაწყისში კი ფეხი მოიტეხა და თან ისე, ამ სეზონის ბოლომდე ვერ დაუბრუნდება მოედანს. მისი გასვლა და მასპინძელთა მონასტრის არევა ერთი იყო. „ბოსტონი“ მარტინის დამტვრევამდე ექვსი ქულით იგებდა, მერე კი ერთბაშად აიწყვიტა და ერთი მონაკვეთი 30:6 აჯობა მასპინძლებს, რომლებიც წამდაუწუმ ჰკარგავდნენ ბურთს და თამაშიდან ჩაგდება ოცნებად ექცათ. სტუმართა უოლკერ-პირსის დუეტმა, თითქოს ამას ელოდაო, სულააწიოკა შოკში მყოფი მასპინძლები. პოლ პირსმა სულაც 44 ქულას მოუყარა თავი, რაც სარეკორდოა მის სამწლიან კარიერაში. მეოთხედი რომ მიიწურა, მასპინძლებს ტაბლოსკენ გახედვაც არ უნდოდათ, რადგან ის 95:69 უჩვენებდა სტუმართა სასარგებლოდ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ვოვა სტეფანია მოედანზე და მისი ძალისხმევით ამ 26-ქულიან სხვაობას ცოტა ჩამოაკლდა. მარტინის დამტვრევის შემდეგ მოსალოდნელია, ვოვა უფრო დიდი ხნით გამოჩნდეს მოედანზე და თამაშს დანატრებული ჩვენებურიც, როგორც იქნა, ბურთაობით გულს იჯერებს. ისე, როგორ უნდა ინატრო კაცის დამტვრევა ამისთვის, მით უმეტეს, რომ წლეულს „ნიუ ჯერსის“ ნამდვილად არ აკლია ტრავმები.

**იუტა 99:101 პორტლენდი**

**იუტა: მენინგი (26), მელოუნი (24)**

**პორტლენდი: პიპენი (26), უელსი (22), უოლესი (21)**

**სიეტლი 88:91 ფინიქსი**

**სიეტლი: ბეიკერი (19 ქულა, 12 მოხსნა), პეიტონი (18)**

**ფინიქსი: მარიონი (20 ქულა, 13 მოხსნა), კიდი (20)**

**კლიპერსი 97:92 ჰიუსტონი**

**კლიპერსი: მაკინისი (23), ოლოუოკანდი (20), პიატკოვსკი (16), ოდომი (12 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი)**

**ჰიუსტონი: ფრენსისი (30), მობლი (21)**

**ატლანტა 101:115 სან ანტონიო**

**ატლანტა: ტერი (32)**

**სან ანტონიო: ანდერსონი (23), რობინსონი (19 ქულა, 10 მოხსნა, 8 დაფარება), დანკანი (18 ქულა, 10 მოხსნა)**

**საკრამენტო 103:98 დეტროიტი**

**საკრამენტო: ვებერი (29 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), სტოიაკოვიჩი (26)**

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (31), ეტკინსი (27)**

**კლივლენდი 109:96 ვანკუვერი**

**კლივლენდი: მიური (19), პერსონი (19), მილერი (16 ქულა, 16 პასი)**

**ვანკუვერი: ბიბი (19), დიკერსონი (19), აბდურ-რაჰიმი (18)**

სანწაულო მატჩს უმასპინძლა სოლტ ლეიკ სიტიმ, სადაც იჟაური „იუტა ჯაზი“ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“ დაუპირდა. ინტრიგა თავიდანვე დიდი იყო. „იუტა“ დივიზიონში და საერთოდ დასავლეთ კონფერენციაში პირველობას მოსისხლე „სან ანტონიოს“ როგორ შეარჩენს და მასთან დავაში თავს წაგების უფლებას ვერ აძლევს, თან შინ თამაშობდა. „პორტლენდს“ ხომ კიდევ უფრო მეტი სტიმული ჰქონდა, ამას წინათ ზედიზედ ხუთჯერ წააგო და იმის დამტკიცებას ლამობდა, ეს ჩავარდნა შემთხვევითი თუ არა, დროებითი მაინც იყოო. ჰოდა, ამას უკეთ სად დაამტკიცებდა, თუ არა „იუტასთან“, ამიტომაც თავი არ დაუზოგავს.

მთლიანობაში თამაში ისეთი გამოვიდა, თანაბარი უფრო ეთქმოდა, თუმც „იუტა“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო. „ჯაზის“ ლიდერები — ჯონ სტოქტონი და კარლ მელოუნი დაუბერდა, თუმც ისინი რომ ჯერ ბევრ ახალგაზრდას სჯობიან, ამჯერადაც დაამტკიცეს — ვარსკვლავებით გამოჭედილ „პორტლენდს“ სიქას აცლიდნენ და სულ ნახევარი ნაბიჯით მაინც უსწრებდნენ. თამაშიც ასევე მიდიოდა, სტუმართა ვეტერანს სკოტი პიპენს რომ არ გამოეჩინა ფხა. ლამის მთელი სეზონი უქმად მყოფმა პიპენმა ბევრს დაავიწყა თავი. მან დიდ კალათბურთში „დაბრუნება“ „იუტასთან“ შეხვედრის ბოლოსღა „მოინდომა“ და ეს ერთობ ხმამაღლა გამოუვიდა. როცა შეატყო პიპენმა, რომ სტოქტონს (11 ქულა, 9 პასი) ვერც სტუდემაიერმა მოუარა და ვერც მისმა შემცვლელმა როდ სტრიკლენდმა, თამაში თავის თავზე აიღო და მწვრთნელ მაიკ დანლივის ისეთი ულრიალა, რაღას უყურებ, ბურთის გათამაშება დამავალეო, გვერდით მყოფნი გააყრუა. მატჩის დამთავრებამდე ორნახევარი წუთი რჩებოდა და „იუტა“ 97:91 იგებდა. და აი, პიპენმა ბურთი ჩაიგდო ხელში და ჯერ სისწრაფეში აჯობა სტოქტონს და ერთ შეტევაში სამი ქულა მიითვალა, მერე სიმაღლეში და ახლა ორიანი ჩააგდო. საფინალო სირენამდე 25 წამით ადრე კი სამქულიან ხაზს გარედან დალამქრა მასპინძელთა კალათი და „პორტლენდი“ მთელ თამაშში პირველად დაწინაურდა 99:97 — „იუტამ“ ახლაღა უპასუხა პიპენის გაბრწყინებას, მენინგმა ორიანი ჩააგდო, 99:99 გაათანაბრა და სტუმრებს კიდევ დაუტოვა შეტევისთვის ექვსი წამი, რაც მათ გამოიყენეს. მხოლოდ პიპენის ნაცვლად სხვამ დაუსვა თამაშს წერტილი. შეტევით კი პიპენმა შეუტია მასპინძელთა კალათს, მაგრამ იუტელებმა მოახერხეს და ბურთი ხელიდან გააგდებინეს, რომელიც მის თანაგუნდელ დეილ დევისს მიუვიდა და მასპინძლებს მასზე დაჯარიმების გარდა არაფერი დარჩენოდათ. საზოგადოდ დევისი ცუდად ესვრის საჯარიმოს, თუმც ახლა ხელი არ აუკანკალდა, ისე მიუჩინა ორივე ნასროლს კალათში ადგილი.

და ერთიც. „პორტლენდის“ ჯაჭვლანა თავდამსხმელმა რაშიდ უოლესმა მესამე მეოთხედში ტექნიკური მიიღო, სეზონში სულ 39 დაუგროვდა და ერთით გააუმჯობესა ნბა-ს ყველა დროის რეკორდი, რომელიც წინა სეზონში თავად დაუმყარებია. ამ ამბავმა უოლესი მხოლოდ გაახარა და არც უცდია ამის დამალვა.

სანამ „პორტლენდი“ ადრე შელახული ღირსების რეაბილიტირებას ცდილობდა, დასავლელმა პლეი ოფში მომხვედრ-ვერმოხვედრმა გუნდებმა ერთმანეთს ომი გაუჩაღეს.

შინ „ფინიქსთან“ წაგებამ „სიეტლ სუპერსონიქსმა“ და ამით ფაქტობრივად გამოეთხოვა პლეი ოფს, თუმც სანუგეშოდ თეორიული შანსები კიდევ დარჩენია. ალბათ, ვერც „ჰიუსტონს“ ერგება ადგილი დასავლეთის რვა რჩეულს შორის, რადგან უსახურ „კლიპერსთან“ წააგო და ამით თავად გამოისვა დანა ყელში.

„სან ანტონიომ“ კი მოახერხა ის, რაზეც ნბა-ს სხვა 27 გუნდი მთელი სეზონი ამაოდ ოცნებობდა — „ატლანტაში“ იმარჯვა, ოც წაგებასთან ერთად 49 გამარჯვება მოუგროვდა და სეზონის პირველივე დღეებიდან ერთპიროვნულ ლიდერ „ფილადელფია სიქსერსს“ ერთი მოგებით გაუსწრო.

**ირაკლი ფირცხელავა**

# კაცური გზა
## როგორ შეიტყუეს ქართველი ლომი რაგბის გალიაში

ჰორიზონტალის კაცები

ვასილ კაცაძე

**„თქვენი მეთორმეტე ნომერი ნამდვილი ლომია, იგი თავისუფლად ითამაშებდა „ოლ ბლექსში“ — თქვა ესპანეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ხოსე ლუის პენამ საქართველო — ესპანეთის მატჩის შემდეგ. 25 წლის ვასილ კაცაძე მართლაც ჭეშმარიტი ლომი იყო. მთელი შეხვედრის განმავლობაში ორი-სამი ესპანელი მუდამ მასზე ეკიდა.**

**მაგრამ მისი შეჩერება იმ დღეს არავინ აღმოჩნდა. ერთი ეფექტური ლელო ხომ თავად გაიტანა, ორჯერ კი ისეთი რეიდი წამოიწყო, გვერ საქვეყნოდ ცნობილ მორაგბეს შეშურდებოდა. არადა, ცოტამ თუ იცის, როგორ მოვიდა ვასილ კაცაძე რაგბიში, ან რა წინააღმდეგობების დაძლევა მოუწია, რათა პროფესიონალად ჩამოყალიბებულიყო. მართალია, არც დღეს აქვს მთლად დალხინებული ცხოვრება, მაგრამ [illegible] და არც საყვარელ საქმეზე [illegible] გული. [illegible] საფრანგეთში თამაშობს და ეროვნულ [illegible], მაგრამ მოდით, თავად ვასილს მოვუსმინოთ...**



— ბავშვობიდან ხელბურთს ვთამაშობდი, საკმაოდ კარგადაც და არ მეგონა, თუ ჩემი ცხოვრება ასე შეიცვლებოდა. სპარტაკ ღვებუაძე, რომელიც ძველი მორაგბეა, ბევრს ცდილობდა, რაგბიში გადავეყვანე, მაგრამ ვერაფერით დამიყოლია. ბოლოს ტრენაჟორებზე ვარჯიში შემომთავაზა. თურმე გულში სულ სხვა განზრახვა ჰქონდა, ამ სიტყვების ყველაზე კარგი გაგებით. ამაში ცუდი მეც ვერაფერი დავინახე და ვაკის სპორტულ კომპლექსში ტრენაჟორებზე ვარჯიშს შევუდექი. იქ კი რაგბის ცნობილმა სპეციალისტმა თემურ ბენდიაშვილმა შემამჩნია. იქამდე არ მომეშვა, სანამ რაგბი არ მათამაშა. არ ვიცი, რა დაინახა ჩემში, მაგრამ ფაქტია, რომ რაგბის კარგად მოვერგე. დღევანდელ „ლოკომოტივს“ მაშინ „ვესტა“ ერქვა. სწორედ „ვესტაში“ დავიწყე თამაში და ბოლომდე ამ გუნდის ერთგული ვიყავი, სანამ საფრანგეთში წასვლა არ შემომთავაზეს. უარის თქმა სისულელე იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ფინანსურად ძალიან მიჭირდა. მე გლდანელი ვარ და მახსოვს, ხშირად იმის ფულიც არ მქონდა, რომ ზამთარში დილების მანეჟში სავარჯიშოდ წავსულიყავი. ხან ტროლეიბუსით, ხანაც მეტროთი ვმგზავრობდი და ასე წვალებით გავდიოდი ფონს. სხვათა შორის, დიდი მადლობელი ვარ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელის გურამ მოდებაძის, მან ტრენაჟორებზე ჩემი ვარჯიშისთვის გადასახდელი მთელი ორი თვის თანხა თავის ჯიბიდან გაიღო. მაშინ ეს ჩემთვის ძალიან დიდი შეღავათი იყო.

**— საფრანგეთში როგორ აღმოჩნდი?**

— თავიდან სამოყვარულო „მოგიონში“ ჩავირიცხე. ეს კლუბი საკმაოდ დაბალი კლასის იყო, მე კი მაღალ დონეზე თამაში და რაღაც დიდებულის მიღწევა მინდოდა. „მოგიონში“ ერთი სეზონი ვითამაშე, უცხო გარემოს შევეჩვიე და ფიზიკურადაც მოვმძლავრდი. ამის შემდეგ ისეთი სერიოზული კლუბის მაისურა მოვირგე, როგორიცაა „ტულონია“. თითქოს გამიმართლა, მაგრამ მალე იქიდან წამოსვლა მომიხდა.

**— რატომ?**

— ხშირად მიწევდა საქართველოში ჩამოსვლა. ეროვნული ნაკრების მატჩებს შეიდკაცა ნაკრების თამაშებიც დაემატა და ფაქტობრივად, ნახევარი სეზონი კლუბის ვარჯიშებსა და მატჩებს ვაცდენდი. მწვრთნელმა დამიბარა და მითხრა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. არჩევანის წინაშე დამაყენა — ან კლუბი ან ნაკრები. ჩემთვის ეროვნული ნაკრების ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას და კლუბის გამოცვლა ვარჩიე. ისე, მწვრთნელზე სულაც არ ვარ ნაწყენი, მისიც მესმის. როგორია, კონკრეტული მატჩისთვის გამზადებს, შენ იმედი აქვს, ამ დროს კი გუნდს ტოვებ და ვერაფერით ეხმარები. თან მარტო მწვრთნელის ფაქტორი არ იყო, საქმეში „ტულონის“ ფულიც(?) ჩაერია. საფრანგეთში ფულს ტყუილად არავის გადაგიხდიან. მე კი, როგორც გითხარით, ნახევარი წელი კლუბს ვიყავი მოწყვეტილი. ბუნებრივია, ჩემგან დიდ სარგებელს ვერ ნახულობდნენ და განშორება გადაწყვიტეს.

**— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?**

— ქალაქ რუმის ამავე სახელწოდების კლუბში ჩავირიცხე. [illegible] გუნდის [illegible]. რუმი [illegible] ქალაქია და იმით არის ცნობილი, რომ იქ [illegible] ფირმა „ტელვიდის“ ქარხანა. თვითონ კლუბი „ელიტ 2“-ში ასპარეზობს და [illegible] ბიუჯეტის მქონე გუნდს, მაგრამ [illegible] „ელიტ 1“-ში „მონბრისონი“ ან „ტულონი“ [illegible].

ორივე კლუბი ფინანსურად „რუმისზე“ ძლიერია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. „მონბრისონში“ ერთი ქართველი [illegible] თამაშობს, „ტულონში“ [illegible]. ასე რომ, მინიმუმ ერთი ქართველი მეტი გვეყოლება „ელიტ 1“-ში. [illegible] „რუმიში“ თამაშით [illegible]. თანაც, „ტულონისგან“ [illegible]

მეტი თავისუფლება მაქვს. შენს პირად ცხოვრებას არავინ აკონტროლებს, [illegible] ვერ ითამაშე, შენ თავს დააბრალე, ითამაშებ და შემადგენლობაშიც მოხვდები.

**— „ელიტ 1“-სა და „ელიტ 2“-ს შორის დიდი განსხვავებაა?**

— თუ სარაგბო დონის მიხედვით ვიმსჯელებთ, არც ისე დიდი. „ელიტ 1“-ის საშუალო კლუბს „ელიტ 2“-ის ხუთეულის გუნდი ტოლ-სწორად ეპაექრება. მაგალითად, „რუმიმ“ საფრანგეთის თასის მატჩში „ელიტ 1“-ის „როაკიან“, რომელშიც მეველ მოიეკლიშვილი ასპარეზობს, ფრე გაასწორა. განსხვავება ის არის, რომ „ელიტ 2“-ში მორაგბეებს კლუბთან პროფესიული კონტრაქტები არ აკავშირებთ, ყველას სხვა სამუშაოც აქვს. გამონაკლისი არც მე ვიყავი. „რუმის“ სპონსორთა დახმარებით „ტელვიდის“ მაღაზიაში დავიწყე მუშაობა.

**— იქ რას აკეთებდი?**

— საწყობში ვეხმარებოდი. თუ რამე საჭირო იყო, ქარხანაში მივდიოდი და მაღაზიაში მომქონდა. ხანდახან სალაროს დაცვაც მიხდებოდა. თუმცა დიდხანს არ მიმუშავია. ვვარჯიშობდი, რაგბისა და სამსახურის შეთავსება გამიჭირდებოდა. წარმოიდგინეთ, დილით ექვს საათზე უნდა ადგე, შვიდი საათიდან სალაროს ზურგზე მაღაზიაში იყო, მერე — ვარჯიში, შაბათკვირას კი ჩემპიონატის მატჩები. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. თანაც „ტელვიდის“ მაღაზიაში ეკონომიკური თანხის მიხედვით. მე კი იმ დროს საკმაოდ მომზადებული ვიყავი და არ მინდოდა, ასეთი დაბალი რეიტინგის ბო-



1999 წლის 28 მარტი. საქართველო — ტონგა 28:27. ვასილ კაცაძე (ზურგით) ტონგელებსაც მაგრად დაუდგა

რობებში ფირმა [illegible]. საბოლოოდ, სამუშაო მივატოვე და მთლიანად [illegible].

**— კლუბში როგორი ანაზღაურება გაქვს?**

— საფრანგეთის კლუბებში საშუალო ხელფასს მიხდიან. მე მყოფნის, ყოველ შემთხვევაში, საწუწუნო არ მაქვს. [illegible] ფინანსური პრობლემები მოვაგვარე და ძალიან მიხარია, რომ ამას ჩემი შრომით მივაღწიე.

**— საფრანგეთში ბევრი ქართველი თამაშობს. თუ გაქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა?**

— ვინც ერთ კლუბში ვთამაშობთ, ერთი ოჯახივით ვართ. „რუმიში“ [illegible]

**— [illegible]**

— აღარ მინდა, იმის გამეორება, თუ [illegible]

**— რას შეამჩნევდი [illegible]?**

— [illegible]

**— [illegible]**

— [illegible] ჩვენგან [illegible] უნდა [illegible] ეროვნულ ნაკრებში [illegible] მოგვაქვს.

**ბაჩო სვანიძე**



# ვეტერანმა ვეტერანი დააწყნარა

**ამბერის** ტურნირზე მსოფლიოს თამაშობენ: ანატოლი კარპოვი, ლუბომირ ლიუბოევიჩი და ბორის გულკო. ამათგან მეორემ ტურნირის საწყის ტურებში წლები ჩამოიფერთხა და უცხოდ ჭაბუკივით ითამაშა. ეს ამბავი ჩვეულებრივი ჭადრაკის ტურნირზე რომ ხდებოდეს, გასაგებია, მაგრამ სწრაფად და დაფაზე დაუხედავად თამაში სწრაფი ჩანაწერებულთათვისაა განსაკუთრებით სამძიმო, რასაც ცოცხალ ანგარიშებასა და მახსოვრობის რეგიან უნარს მოითხოვს. მეხუთე ტურში ლიუბოევიჩი კარპოვს შეხვდა და ახლა თავის ჭკვიასთან ვეგადა იმის მტკიცებას, რომ შემთხვევით არ იგებს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სწრაფი ჭადრაკის პარტიაში კარპოვმა თავიდანვე უპირატესობა მოიპოვა. დებიუტი მისმა თეთრებმა მწყობრად დატოვეს, ლიუბოევიჩის დაცვას კი ერთი-ორგან ბზარი ეტყობოდა. კარპოვმა განავითარა უპირატესობა და წამითაც არ მიუცია გათანაბრების შანსი მეტოქისთვის. „ბრმა“ ჭადრაკში ვეტერანებმა მოიგერიეს [illegible] და დასაწყისშივე სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე.

ცენტრალურად მე-5 ტურში ვიშვანათან ანანდისა და ვასილი ივანჩუკის პარტია ჩაითვალა. სწრაფ ჭადრაკში ინდუსს თეთრები ჰყავდა და ესპანური პარტია აირჩია, რაზეც ივანჩუკმა უმალ მიუგო მარშალის იერიშით, რასაც ლია, კომბინაციური თამაში უყვარს. ანანდმა ტექნიკური ხელებით თავისი უპირატესობა გამოკვეთა და ენდშპილში შავები იძულებული გახდნენ, [illegible] და ვინაიდან, ჭკრი თავზე როგორ ეშხობოდათ. 10 და მერე კი სწრაფი ვაიმი დაფაზე დაუხედავ პარტიაში. ანანდი ლიდერთა მარაქაში დარჩა, ისევე როგორც მეორე ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი. მას მოხუხუთული მეტოქე ჰყავდა — ზოლტან ალმაში უნგრეთიდან, ამიტომ სწრაფი ჭადრაკი თეთრებით წესით უნდა მოეგო, მაგრამ უნგრელმა ნაცლული პაიკიც კი იშოვა თავის, რომ მხოლოდ ნახევარი ქულა გაატანა მეტოქეს. სხვადასხვა ფერის კუის ენდშპილში კრამნიკმა ამაზე მეტი ვერა შეძლო, თუმცა საკომპენსაციოდ მეორე პარტია გაიმარჯვა. იქ სიცილიურ დაცვაში ორივე მხარე დიდხანს იბრძოდა [illegible]. ლოკალური შეტაკებანი ალმაშმა მიიღო და ერთი პაიკერა კომბინაციაც რომ არ გამოეპარებოდა, პარტიასაც იგებდა, მაგრამ გამორჩა და კრამნიკის პასუხი გადამწყვეტი იყო მისთვის.

სხვა ორი ლიდერიდან [illegible] ვესელინ ტოპალოვი არ ჩამორჩა. ბულგარელმა შავებით გულმოდგინედ იომა ლუკ ვან ველისთან და ბრმა ენდშპილში ნახევარი ქულა დაიმსახურა. ეს სწრაფი ჭადრაკი იყო, მერე კი თვალდახუჭულმა ჰოლანდიელმა მეტოქეს გაუგზავნა პოზიცია მისცა, მაქარა და წააგო. პეტერ ლეკომ ბორის გელფანდს სწრაფი ჭადრაკის პარტია დაუთმო ფერიადი უპირატესობის მიუხედავად, ეს კი ლიდერებიდან გამოთიშვად დაუჯდა.

მონაკოსთან სულ ახლოს, კანში კი ჩქარი ჭადრაკის მსოფლიოს თასი თამაშდება. ევროპული ტურნირების შემდეგ (ერთხან დამატებითი ბლიცებიც გამოსაცერა) მეოთხედფინალში გავიდნენ: გარი კასპაროვი, ევგენი ბარეევი, ალექსანდრ გრიშჩუკი, იუდით პოლგარი, მიხაილ გურევიჩი, მაიკლ ადამსი, ეტიენ ბაკრო და [illegible] ტკაჩოვი.

**დავით გელუა**

**მონაკოს ამბერის ტურნირი. სწრაფი და დაფაზე დაუხედავი ჭადრაკი**

**ვითარება 5 ტურის შემდეგ**

1-3. ანანდი, კრამნიკი, ტოპალოვი 7; 4. ლეკო 6; 5. [illegible] 5; 6-9. გელფანდი, კარპოვი, ლიუბოევიჩი, შიროვი 4,5; 10-11. ალმაში, ივანჩუკი 3,5; 12. ვან ველი 3

**კანი. მსოფლიოს თასი სწრაფ ჭადრაკში**

**ევროპული ტურნირის საბოლოო ვითარება**

A ჯგუფი
1. კასპაროვი 5,5; 2-3. გრიშჩუკი, ბარეევი 4; 4-6. [illegible], [illegible], ლოტიე 3,5; 7. [illegible] 3; 8. [illegible] 1

B ჯგუფი
1-2. გურევიჩი, ადამსი 5; 3-4. ბაკრო, ტკაჩოვი 4,5; 5. [illegible] 4; 6-7. [illegible], [illegible] 2; 8. [illegible] 1

დახრილი შრიფტით გამოყოფილი მოჭადრაკეები გავიდნენ მეოთხედფინალში

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### ინგლისი. I დივიზიონი. 39-ე ტური

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 001 | ბარნლი-ქუინზ პარკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 002 | ბირმინგემი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 003 | ვესტ ბრომვიჩი-ტრანმერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 004 | ბარნსლი-ჯილინგემი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 39-ე ტური

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 010 | როვერსი-სუინდონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.00 | 011 | ოქსფორდი-როტერჰემი | 5,0 | 3,4 | 1,55 |
| 17.00 | 012 | პორტვეილი-უიგანი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 013 | ბორნმუთი-ბერი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 014 | უოლსოლი-უიკომბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 39-ე ტური

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 019 | პლიმუთი-ჰარტლპული | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 16.00 | 020 | ექსეტერი-კიდერმინსტერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 16.00 | 021 | მაკლსფილდი-ბლექპული | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 17.00 | 022 | დარლინგტონი-სკანთორპი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 023 | ბრაიტონი-ჩესტერფილდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 024 | ჰალიფაქსი-ბარნეტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 025 | ლეიტონი-იორკი | 1,5 | 3,6 | 5,0 |

### იტალია. სერია B. 28-ე ტური

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 036 | ანკონა-პესკარა | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 037 | კოზენცა-ჯენოა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 18.00 | 038 | პიაჩენცა-სალერნიტანა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 039 | პისტოიეზე-კალიარი | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 040 | რავენა-ტრევიზო | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 041 | სამპდორია-კროტონე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 042 | ტორინო-ჩიტადელა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 18.00 | 043 | ვენეცია-სიენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |

26 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 044 | ემპოლი-კიევო | 2,6 | 2,5 | 2,9 |

### იტალია. სერია C1/a. 28-ე ტური

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 045 | არეცო-ლუკეზე | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 046 | ბრეშელო-რეჯანა | 2,4 | 2,4 | 3,3 |
| 18.00 | 047 | ლეკო-ალძანო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.00 | 048 | ლუმეცანე-ალესანდრია | 1,45 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 049 | მოდენა-კომო | 1,85 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 050 | სპალ-ალბინოლეფე | 1,75 | 2,5 | 5,6 |
| 18.00 | 051 | სპეცია-ჩეზენა | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 052 | ვარეზე-კარარეზე | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 19.00 | 053 | პიზა-ლივორნო | 2,6 | 2,4 | 3,0 |

### იტალია. სერია C1/b. 28-ე ტური

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 054 | აველინო-სავოია | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 055 | ატლეტიკო-ნოჩერინა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| 18.00 | 056 | ბენევენტო-მესინა | 3,0 | 2,4 | 2,6 |
| 18.00 | 057 | დი სანგრო-ფიდელის ანდრია | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 058 | ფერმანა-ასკოლი | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 059 | ჯულიანოვა-ვიტერბეზე | 2,1 | 2,4 | 4,0 |
| 18.00 | 060 | აკილა-პეზარო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 061 | ტორესი-პალერმო | 2,5 | 2,4 | 3,1 |
| 19.00 | 062 | ლოდიჯანი-კატანია | 2,9 | 2,5 | 2,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 30-ე ტური

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 063 | კორდობა-ატლეტიკო | 2,8 | 2,9 | 2,4 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 064 | ლეგანესი-სპორტინგი | 2,3 | 2,6 | 3,2 |
| 16.00 | 065 | უნივერსიდადი-ბადახოსი | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 20.00 | 066 | ტენერიფე-ფეროლი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 20.00 | 067 | ესტრემადურა-ბეტისი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 068 | ეიბარი-კომპოსტელა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 069 | მურსია-ხაენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 070 | სალამანკა-უელვა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 20.00 | 071 | ლეიდა-ხეტაფე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 072 | ალბასეტე-ელჩე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 073 | სევილია-ლევანტე | 1,55 | 3,1 | 7,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 074 | ჰელმონდი-ზვოლე | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 075 | კამბური-ტელსტარი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ბელგია. II დივიზიონი. 29-ე ტური

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 078 | მონსი-დესელი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 23.00 | 079 | ჰეუსდენი-გეელი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.00 | 080 | ლიეჟი-ტურნჰაუტი | 3,0 | 3,1 | 2,1 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 081 | რუზელარე-ჰეკელგემი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 18.00 | 082 | დაინცე-მაასლანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 083 | სტრომბეკი-ოსტენდე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 084 | სერკლი-ტინენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### შვეიცარია. A/B ჯგუფი. გადადებული მატჩი

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 085 | ბელინცონა-ვილი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. მე-2 ტური

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 086 | ბადენი-დელემონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 087 | კარუჟი-კრინსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 088 | სოლოტურნი-ლოკარნო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.30 | 089 | ვანგენი-ტუნი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### ჩეხეთი. თასის 1/8 ფინალი

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 090 | ბლშანი-ბოჰემიანსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 091 | ჟიჟკოვი-ლიბერეცი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 18.00 | 092 | ოპავა-ტეპლიცე | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 18.00 | 093 | ბანიკი-პრჟიბრამი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 094 | სლავია-სინოტი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 18.00 | 095 | ბრნო-იაბლონეცი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.30 | 096 | ბუდეიოვიცე-დრნოვიცე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 501 | აზერბაიჯანი-მოლდოვა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 502 | ჩრდილოეთ ირლანდია-ჩეხეთი | 4,4 | 3,2 | 1,7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 503 | შვედეთი-მაკედონია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 504 | შვედეთი-მაკედონია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 505 | ნორვეგია-პოლონეთი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 506 | შოტლანდია-ბელგია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 507 | ინგლისი-ფინეთი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 508 | ინგლისი-ფინეთი 0:2 | 1,7 | 4,0 | 2,5 |
| 20.00 | 509 | რუსეთი-სლოვენია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 510 | რუსეთი-სლოვენია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 511 | ბულგარეთი-ისლანდია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 512 | ბულგარეთი-ისლანდია 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 21.00 | 513 | ლუქსემბურგი-ფარერები | 2,1 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 514 | კვიპროსი-ირლანდია | 5,3 | 3,3 | 1,6 |
| 21.00 | 515 | უკრაინა-ბელარუსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 516 | უკრაინა-ბელარუსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21.00 | 517 | სომხეთი-უელსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 518 | ხორვატია-ლატვია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 519 | ხორვატია-ლატვია 0:2 | 1,6 | 4,0 | 2,8 |
| 22.00 | 520 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 22.30 | 521 | რუმინეთი-იტალია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 522 | მალტა-დანია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 23.00 | 523 | უნგრეთი-ლიტვა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 524 | გერმანია-ალბანეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 525 | გერმანია-ალბანეთი 0:2 | 1,65 | 4,0 | 2,6 |
| 23.15 | 526 | იუგოსლავია-შვეიცარია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 527 | იუგოსლავია-შვეიცარია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 528 | ანდორა-ჰოლანდია | 20,0 | 10,0 | 1,02 |
| 23.30 | 529 | ბოსნია-ავსტრია | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 00.30 | 530 | ესპანეთი-ლიხტენშტაინი | 1,01 | 15,0 | 30,0 |
| | 531 | ესპანეთი-ლიხტენშტაინი 0:4 | 1,6 | 4,0 | 2,8 |

### შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)

### 24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.00 | 567 | აზერბაიჯანი-მოლდოვა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 16.00 | 568 | რუსეთი-სლოვენია | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 569 | ნორვეგია-პოლონეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### 25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 570 | ესპანეთი-საფრანგეთი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### ამხანაგური მატჩი

### 24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 532 | საფრანგეთი-იაპონია | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

### 24 მარტი

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 601 | ჩრდ. ირლანდია-ჩეხეთი | 7,0 | 12,0 | 20,0 | 8,0 | 5,3 | 3,4 | 30,0 | 12,0 | 2,5 |
| 19.00 | 602 | ნორვეგია-პოლონეთი | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 603 | შოტლანდია-ბელგია | 3,3 | 12,0 | 25,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 18,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 604 | რუსეთი-სლოვენია | 1,9 | 14,0 | 30,0 | 2,9 | 5,3 | 14,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22:00 | 605 | თურქეთი-სლოვაკეთი | 2,1 | 15,0 | 30,0 | 3,2 | 5,3 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22.30 | 606 | რუმინეთი-იტალია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.15 | 607 | იუგოსლავია-შვეიცარია | 1,8 | 14,0 | 30,0 | 2,8 | 6,0 | 14,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 608 | ბოსნია-ავსტრია | 4,4 | 12,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,7 | 25,0 | 12,0 | 3,4 |

### კალათბურთი

### 24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 809 | კლივლენდი-დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 810 | დალასი-შარლოტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 06.00 | 811 | იუტა-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 812 | სიეტლი-ჰიუსტონი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 813 | გოლდენ სტეიტი-დეტროიტი | 2,0 | 12,0 | 1,5 |

### 25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 814 | მაიამი-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 3,8 |
| 21.00 | 815 | ორლანდო-ინდიანა | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 21.00 | 816 | ტორონტო-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 817 | მილუოკი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 24.00 | 818 | ბოსტონი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 00.30 | 819 | მინესოტა-ნიუ ჯერსი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 03.30 | 820 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

### 26 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 821 | ფილადელფია-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 822 | ჩიკაგო-დენვერი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 823 | ფინიქსი-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 824 | იუტა-დალასი | 1,2 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 825 | პორტლენდი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 07.00 | 826 | სიეტლი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 827 | გოლდენ სტეიტი-ნიუ იორკი | 3,1 | 12,0 | 1,25 |

### ჰოკეი

### 24 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 905 | ბოსტონი-კოლორადო | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 22.00 | 906 | რეინჯერსი-დეტროიტი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 22.00 | 907 | კოლუმბუსი-კალგარი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 908 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 03.00 | 909 | ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 910 | ბუფალო-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 911 | ტორონტო-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 912 | მონრეალი-ატლანტა | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 913 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 05.00 | 914 | ნეშვილი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 915 | ფინიქსი-ედმონტონი | 1,75 | 4,0 | 2,6 |

### 25 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 916 | ნიუ ჯერსი-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 23.00 | 917 | მინესოტა-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 918 | ჩიკაგო-კალგარი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 919 | რეინჯერსი-ბოსტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 920 | დალასი-სენტ ლუისი | 1,75 | 4,0 | 2,6 |
| 06.00 | 921 | ფინიქსი-აილენდერსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |

### 26 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 922 | ოტავა-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.00 | 923 | კაროლინა-მონრეალი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 924 | ატლანტა-ბუფალო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 06.00 | 925 | ედმონტონი-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 07.30 | 926 | ლოს ანჯელესი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,3 |


## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

მსოფლიოს ჩემპიონატი კროსში. 24-25 მარტი. ოსტენდე (ბელგია)

# ორფეხათა ჯირითი ველინგტონის იპოდრომზე



კენიური ლეგიონი ოსტენდეში გამარჯვების მთავარი ფავორიტია

**დღეს** თუ არა, მძლეოსნებმა არტახები დაიწყვიტეს და ჩახუთული დარბაზებიდან პირდაპირ ბუნების წიაღში გაიჭრნენ, ანუ ლისაბონის ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ორ კვირაში ბელგიური ოსტენდე კროსის რჩეულებს მასპინძლობს. ბოლო მონაცემებით, 70 ქვეყანა და 897 ათლეტი წარდგებიან ქომაგთა წინაშე იმ იპოდრომზე რომელსაც ბელგიაში ვატერლოოსთან ნაპოლეონის დამარცხებით სახელმოხვეჭილი ბრიტანელი გენერლის სახელი ჰქვია. მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვა თავიდან დუბლინში იყო განზრახული, მაგრამ რაც წყეულმა თურქულმა არა მარტო სპორტსმენთა გეგმები არია, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) ალტერნატიული გზების ძიება დაიწყო. არჩევანი სასწრაფოდ ბრიუსელზე შეჩერდა, თუმცა ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე ბელგიელებმა იააფ-ს შეუთვალეს, ათასი კაცის დედაქალაქში განთავსებას და მომსახურებას მიზეზთა გამო ვერ ვახერხებთ და თუ ხელს გაძლევთ, ოსტენდე იყოსო. ბევრი ითათბირეს თუ ცოტა, ქალთა საერთაშორისო დღეს ამაზე შეთანხმდნენ და ბელგიელებმა ორ კვირაში იმხელა სამუშაო შეასრულეს, რამდენსაც ზოგი წელიწადს მოუნდებოდა. იტყობინებიან, რომ ჩემპიონატისთვის ყველა პირობა უკვე არსებობს. იგი რიგით 29-ე იქნება.

წერილს კროსის ყველა მსოფლიოს ჩემპიონის სია ერთვის და დააკვირდით, ბოლო 15 წელიწადში რა ხშირად მოჩანს სიტყვები „კენია" (ვაჟებში) და „ეთიოპია" (ქალებში). ეს კარგა ხნიერი ტრადიცია გახლავთ, რომელიც იშვიათად ირღვევა. დაწყებული ჯანმაგარი ჯონ ნგუგიდან, კენიელი ვაჟკაცები თითქმის უწყვეტად იგებენ მსოფლიოს პირველობებს და სხვა ტურნირებს, მხოლოდ ათი წლის წინ მოხდა გამონაკლისი და სულ ბოლოს, როცა საუკუნის დასკვნითი გრძელი კროსი მაროკოული ძირის ბელგიელმა მუჰამედ მურიტმა მოიგო. მურიტი ირბენს წლეულსაც, მაგრამ კენიელები მაინც ფავორიტები არიან, თუნდაც პოლ ტერგატის არყოფნისას. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა 31 წლის ასაკში გადაწყვიტა, სრულად გადაერთოს მარათონებზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ნახსენები ტიტულების გარდა ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადებზე 10 ათას მეტრის ვიცე-ჩემპიონი ტერგატი კენიის საკროსე პირველობაზე მხოლოდ მესამე იყო. ახლა ის დროა, ალბათ გაიფიქრა ტერგატმა, სახელ-დიდებასა და მედლებს შევეშვა და პრესტიჟული მარათონების პრემიალურებზე ვინადირო უზრუნველი სიბერისთვისო.

მაგრამ კენიელებს ტერგატის არყოფნა მხოლოდ სიმბოლურად აწუხებთ. ათადან და ბაბადან მათმა მწვრთნელმა, მხცოვანმა დან მუჩოკიმ ტერგატის ნაცვლად პატრიკ ივუტის უხმო და შეგირდების გაძლიერებული წვრთნა განაგრძო. თავიდან შავი კროსმენები ტრადიციულად ემბუს საწვრთნელ ბანაკში ვარჯიშობდნენ, მაგრამ იმ არემარეში ტიფმა და მალარიამ იფეთქა და სპორტსმენებმაც კაპტაგატში გადაინაცვლეს, სადაც ისევ ძველი ტემპებით ემზადებიან. „ბიჭებს დღეში სამჯერ ვარბენინებ — განაცხადა მუჩოკიმ ხუთი დღის წინათ — დილას 6 საათზე წამოვაგდებ ხოლმე, მერე 10-ზე და 4-ზეც ველად გამყავს". ჯერ უცნობია, მუჩოკიმ პირადი პრობლემები თუ მოაგვარა — ნაირობიში მიმავალი ავარიაში მოჰყვა, გადარჩა და რატომღაც პასპორტი დაკარგა, უიმისოდ კი ბელგიაში როგორ ჩავიდოდა? თუმცა დავტოვოთ მუჩოკი თავის გასაჭირით და ქალთა კროსის ფავორიტებზე ვისაუბროთ.

მშვენიერთა სქესში ეთიოპია დომინირებს. დერარტუ ტულუმ და გეტე ვამიმ, 1995 წლიდან ქალთა კროსი ლამის ერთმანეთში გასარჩევ საქმედ აქციეს. ეთიოპური ჯაჭვი მხოლოდ 1998-ში გაწყდა, როცა ირლანდიელმა სონია ოსალივანმა ორივე კროსი მოიგო, მოკლეც და გრძელიც, მაგრამ ოსალივანი ოსტენდეში მხოლოდ მოკლე გზაზე სირბილს აპირებს, ხოლო სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი და კიდევ 10 ათას მეტრზე სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი ტულუ მტკივანი მუხლის მიზეზით სულაც ჩემპიონატს გამოტოვებს. ეს ნიშნავს, რომ ბურთი და მოედანი ვამის დარჩა. გრძელ კროსზე კონკურენტთა უმეტესობა მისია. მხოლოდ ბრიტანელი პოლა რედკლიფია მისი ღირსეული მეტოქე, რადგან ადრე ერთიორჯერ ვამისთვის უჯობნია კიდეც და ჩემპიონატისთვის ნიუ მექსიკოში მეტად სერიოზულად მოემზადა. უფრო ფავორიტად მაინც ვამი ითვლება.

ეთიოპიელებს სხვა საიმედო ქალებიც ჰყავთ, მაგალითად, შარშანდელი მოკლე კროსის ჩემპიონი კუტრე დულეჩა, რომელიც რიგიან ფორმაშია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთიოპია ვაჟთა ტურნირშიც მეზობელთა შევიწროებას გეგმავს და კენიის წინააღმდეგ ორ რიგიან მორბენალს — მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ასეფა მეზგებუსა და 1999 წელს ბრინჯაოს პრიზიორ ჰაილუ მეკონენს ამზადებს. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

**დავით ბულია**

## კროსის ყველა მსოფლიოს ჩემპიონი

| თარიღი | ადგილი | ვაჟები | ქალები |
|---|---|---|---|
| 1973 | ვარეგემი (ბელგია) | პეკა პაივარინტა (ფინეთი) | პაოლა პინი (იტალია) |
| 1974 | მონცა (იტალია) | ერიკ დე ბეკი (ბელგია) | პაოლა პინი (იტალია) |
| 1975 | რაბათი (მაროკო) | იან სტიუარტი (დიდი ბრიტანეთი) | ჯული ბრაუნი (აშშ) |
| 1976 | ჩეპსტოუ (უელსი) | კარლოს ლოპესი (პორტუგალია) | კარმენ ვალერო (ესპანეთი) |
| 1977 | დიუსელდორფი (გერმანია) | ლეონ შოტსი (ბელგია) | კარმენ ვალერო (ესპანეთი) |
| 1978 | გლაზგო (შოტლანდია) | ჯონ ტრეისი (ირლანდია) | გრეტე ვაიტცი (ნორვეგია) |
| 1979 | ლიმერიკი (ირლანდია) | ჯონ ტრეისი (ირლანდია) | გრეტე ვაიტცი (ნორვეგია) |
| 1980 | პარიზი (საფრანგეთი) | კრეიგ ვირჯინი (აშშ) | გრეტე ვაიტცი (ნორვეგია) |
| 1981 | მადრიდი (ესპანეთი) | კრეიგ ვირჯინი (აშშ) | გრეტე ვაიტცი (ნორვეგია) |
| 1982 | რომი (იტალია) | მოჰამედ კედირი (ეთიოპია) | მარისიკა პუიკა (რუმინეთი) |
| 1983 | გეიტსჰედი (ინგლისი) | ბეკელე დებელე (ეთიოპია) | გრეტე ვაიტცი (ნორვეგია) |
| 1984 | ნიუ იორკი (აშშ) | კარლოს ლოპესი (პორტუგალია) | მარისიკა პუიკა (რუმინეთი) |
| 1985 | ლისაბონი (პორტუგალია) | კარლოს ლოპესი (პორტუგალია) | ზოლა ბადი (დიდი ბრიტანეთი) |
| 1986 | ნოიშატელი (შვეიცარია) | ჯონ ნგუგი (კენია) | ზოლა ბადი (დიდი ბრიტანეთი) |
| 1987 | ვარშავა (პოლონეთი) | ჯონ ნგუგი (კენია) | ანეტ სერჟანი (საფრანგეთი) |
| 1988 | ოკლენდი (ახალი ზელანდია) | ჯონ ნგუგი (კენია) | ინგრიდ კრისტიანსენი (ნორვეგია) |
| 1989 | სტავანგერი (ნორვეგია) | ჯონ ნგუგი (კენია) | ანეტ სერჟანი (საფრანგეთი) |
| 1990 | ოლებენი (საფრანგეთი) | ხალიდ სკახი (მაროკო) | ლინ ჯენინგსი (აშშ) |
| 1991 | ანტვერპენი (ბელგია) | ხალიდ სკახი (მაროკო) | ლინ ჯენინგსი (აშშ) |
| 1992 | რომი (იტალია) | ჯონ ნგუგი (კენია) | ლინ ჯენინგსი (აშშ) |
| 1993 | ამორებიეტა (ესპანეთი) | უილიამ სიგეი (კენია) | ალბერტინა დიასი (პორტუგალია) |
| 1994 | ბუდაპეშტი (უნგრეთი) | უილიამ სიგეი (კენია) | ჰელენ ჩეპნგენო (კენია) |
| 1995 | დიურამი (ინგლისი) | პოლ ტერგატი (კენია) | დერარტუ ტულუ (ეთიოპია) |
| 1996 | კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) | პოლ ტერგატი (კენია) | გეტე ვამი (ეთიოპია) |
| 1997 | ტურინი (იტალია) | პოლ ტერგატი (კენია) | დერარტუ ტულუ (ეთიოპია) |
| 1998 | მარაკეში (მაროკო) | ჯონ კიბოვენი (კენია) მოკლე კროსი | სონია ოსალივანი (ირლანდია) მოკლე კროსი |
| | | პოლ ტერგატი (კენია) გრძელი კროსი | სონია ოსალივანი (ირლანდია) გრძელი კროსი |
| 1999 | ბელფასტი (ჩრ. ირლანდია) | ბენჯამინ ლიმო (კენია) მოკლე კროსი | ჟაკლინ მარანგა (კენია) მოკლე კროსი |
| | | პოლ ტერგატი (კენია) გრძელი კროსი | გეტე ვამი (ეთიოპია) გრძელი კროსი |
| 2000 | ვილამურა (პორტუგალია) | ჯონ კიბოვენი (კენია) მოკლე კროსი | კუტრე დულეჩა (ეთიოპია) მოკლე კროსი |
| | | მოჰამედ მურიტი (ბელგია) გრძელი კროსი | დერარტუ ტულუ (ეთიოპია) გრძელი კროსი |



# არველაძეები ჩოგბურთსაც გადაწვდნენ

**ხუთშაბათს** ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის დარბაზში საქართველოს ზამთრის პირველობა დასრულდა ჩოგბურთში. ტურნირი მონაწილეთა მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩეოდა, თუმცა სტიმული საკმაო იყო — გამარჯვებულებს იუნიორთა შორის აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატის საგზურები ეძლეოდათ.

ვაჟთაგან გამარჯვება თბილისელმა ლევან არველაძემ მოიპოვა, რომელმაც ფინალში ორ სეტში, 6:3, 7:5 გიორგი გველესიანს მოუგო. გოგონებს შორის გადამწყვეტ მატჩში მაგდა კვაჭაძე და ლიანა დალაქიშვილი შეხვდნენ ერთმანეთს. ამ უკანასკნელის უპირატესობა აშკარა იყო — 6:3, 6:2.

გოგონების ორივე ფინალისტი, ასევე არველაძე და ომარ მურღულია, რომელიც ისე შეარჩიეს, რომ ტურნირზე არ უთამაშია, ერთ თვეში ბულგარეთში გაემგზავრება, სადაც 22 აპრილიდან აღმოსავლეთ ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრება.

# ოქროს სეტი

ინდიან უელსი (აშშ). „ერიქსონის ღია პირველობა". საპრიზო ფონდი 6,12 მილიონი $

**ვაჟები**

ოქროს სეტი ჩოგბურთში ისეთ ხელს ეწოდება, რომელშიც ერთი მეტოქე 24-ვე ქულას მოიგებს. ვაჟებში პროფესიონალ მოთამაშეთა შორის ასეთი რამ ისტორიაში ერთადერთხელ მომხდარა: 1982-ში ამერიკელმა ბილ სკანლონმა ვინმე მარკუს ოჩევარი დელრეი ბიჩის პირველობაზე 6:2, 6:0 გაანადგურა.

ახლოს იყო ისტორიულ მიღწევასთან ხუთშაბათს გრეგ რუზეცკიც — 27 წლის ინგლისელმა ჩილელ ნიკოლას მასიუსთან შეხვედრაში ზედიზედ 25 ქულა მოითვალა. ყველაფერი პირველი სეტში დაიწყო. 4:5-ზე საკუთარ მოწოდებაზე სამხრეთამერიკელი 40:0 დაწინაურდა და ანგარიშის გათანაბრებისგან ერთი ნაბიჯიღა აშორებდა. კატასტროფას თითქოს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ მომდევნო ნახევარი საათი მასიუს კარიერაში, ალბათ, ყველაზე მძიმე წუთებად დარჩება.

ქულა ქულას მისდევდა, გეიმი-გეიმს, ტაბლოზე ჩილელის გრაფა კი უცვლელი რჩებოდა. რუზეცკიმ მეტოქეს დამცირება მხოლოდ მეორე სეტში, უკვე 5:0-ზე აკმარა, როდესაც ბოლოს და ბოლოს, მასიუსთვის გასახარად, ფორჰენდი აუტში გაგზავნა. მატჩი კი 6:4, 6:1 დასრულდა ინგლისელის სასარგებლოდ.

„ცოტათი თავადაც მიკვირდა, მაგრამ ეს ყველაფერი ეტყობა, ერთი მხრივ, ჩემი უშეცდომო თამაშით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ კი იმით, რომ ნიკოლასი საკუთარ თავზე გაღიზიანდა" — აღნიშნა რუზეცკიმ და თავიც კი არ შეიწუხა, დამარცხებული ჩილელის მიმართ სიბრალული გამოეხატა.

ინგლისელის მეტოქე მეორე წრეში ძველი ნაცნობი დევიდ პრინოშილი იქნება, ვისთანაც ერთადაც ერთ დროს საავადმყოფოში იწვა. 1999 წლის დეკემბერში გერმანიაში მათ თითქმის ერთდროულად გაიკეთეს ოპერაცია ფეხზე ძვლის გამონაზარდის მოსაცილებლად. „კლინიკაში გამოჯანმრთელების ლოდინში კარგა ხანი გავატარეთ ერთად. ახლა მოუთმენლად ველით ერთმანეთთან შეხვედრას, ვშიშობ, წაგების შემთხვევაში თავად აღმოვჩნდები მეორე პაციენტის დაცინვის ობიექტი".

როგორც იქნა, გადალახა პირველი ბარიერი ერთ დროს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მაიკლ ჩანგმაც. ამერიკელმა, რომელსაც წლეულს ოთხ ტურნირზე ერთადერთი მატჩი მოეგო, ესპანელ ალბერტ პორტასს აჯობა — 6:2, 6:3.

„ასეთი მძიმე მომენტები მხოლოდ აწრთობს ადამიანს, მთავარია, სულით არ დაეცე და ოპტიმიზმი შეინარჩუნო — განაცხადა ჩანგმა, რომელმაც კარიერის ერთადერთი დიდი სლემის ტურნირი, როლან გაროსი 17 წლისამ მოიგო — არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მჭირდება. სპორტიდან ხვალაც რომ წავიდე, მაინც ვიტყვი, რომ შესანიშნავი კარიერა მქონდა".

29 წლის ამერიკელი შარშან ამტკიცებდა, რომ პენსიაზე გასვლას არ აპირებდა და კვლავაც შეხწევდა ძალა საუკეთესოებთან საპაექროდ, თუმცა ამდენმა წარუმატებლობამ, ეტყობა, ისიც დაღალა: „კარგია, რომ ერთი მატჩის მოგება მაინც მეღირსა, მეორე წრეში მარკ ფილიპუსისი და კიდევ უფრო მძიმე გამოცდა მელის. დასაკარგი არაფერი მაქვს. რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ სიტყვებს ოდესმე ვიტყოდი".

**პირველი წრე: გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4; იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6(7:2), 4:6, 7:6(7:3); ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:5, 1:6, 6:4; ჰიჩამ არაზი (მაროკო) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 7:6(11:9); ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:2, 7:5; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) 2:6, 6:1, 6:2.**

**ქალები**

უიმბლდონის ორი ყოფილი ნახევარფინალისტისთვის კი ბისკეინის ტურნირის პირველი წრე სხვადასხვაგვარად წარიმართა. 19 წლის მირიანა ლუჩიჩმა, რომელსაც 1999-ში „ოლ ინგლენდ კლაბში" თავის გამოჩენის შემდეგ კაპიკის საღირალი არაფერი გაუკეთებია, წონაში კი ლამის ერთიორად მოიმატა, ისევ წააგო, ამჯერად კარინა ჰაბსუდოვასთან 3:6, 6:7(3:7).

იმავე წელს უიმბლდონის ბალახზე გაბრწყინების შემდეგ ვარსკვლავები ციდან არც ალექსანდრა სტივენსონს მოუწყვეტია, თუმცა ამჯერად მულატმა ამერიკელმა ერთბაშად 20 ეისი დაარტყა და სამხრეთაფრიკელ მარიან დე შვარდტს 7:6(7:4), 6:4 მოუგო.

„მზად ვარ, კვლავ ვთქვა ჩემი სათქმელი" — განაცხადა სტივენსონმა, რომელსაც ხმაური და სკანდალები ცალკე მამის, ჯულიუს ირვინგის ვინაობის გამომჟღავნებისა და ცალკე კოლეგების რასიზმ-ლესბოსელობაში დადანაშაულების წყალობით არც ისე აკლდა.

**პირველი წრე: აი სუგიამა (იაპონია) — ლინა კრასნოროუცკაია (რუსეთი) 7:6(7:4), 6:0; მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) — ასა კარლსონი (შვედეთი) 7:5, 3:6, 6:2; დაია ბედანოვა (ჩეხეთი) — როსანა ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:4, 6:4; ჰენეტა პრუდლიჩკოვა (სლოვაკეთი) — იანა კანდარი (გერმანია) 6:2, 2:6, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**



AP კი ბისკეინიდან

გრეგ რუზეცკიმ მეტოქე არ დაინდო

## ლუისი VS ტაისონი

# ფულის სურნელი

### ტაისონს 30 მილიონი ეცოტავება

**გახსოვთ,** რა ვთქვით? ხომ ვამბობდით, ლუის-ტაისონის სუპერბრძოლის ირგვლივ ჯერ დიდი ამბებია მოსალოდნელი, ათასჯერ ჰო ითქმება და ათასჯერაც არაო. დარმწუნებული ბრძანდებოდეთ, ეს ამბავი მარტო ჩვენ კი არა, მთელ დედამიწას კარგად მოეხსენება, მაგრამ მაინც საინტერესოა.

ბოლოხანს ასეთი რამ მოხდა: მსოფლიოს უპირობო ჩემპიონმა, ლენოქს ლუისმა თქვა, ეჭვი მაქვს ტაისონს ცხოვრებაში ველარსად გადავეყრებიო, ხოლო რაც შეეხება თანხას, რომელსაც ეს ბრძოლა შეაქუჩებს, მასზე უფრო დაზუსტებით დაიწყეს ლაპარაკი — 150 მილიონი დოლარიაო.

„ვცდილობ სულ დადებითად ვიფიქრო, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ხანდახან სერიოზული ეჭვი მიჩნდება, გაიმართება კი ოდესმე ეს ბრძოლა?“ — უთხრა ლუისმა BBC-ს კორესპონდენტს — „ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება ჩემამდე უახლოეს მეტოქესთან წააგოს? ანდა, ხომ შეიძლება მე შემემთხვეს იგივე? კიდევ, შეიძლება რაიმე სხვა გასაჭირი ჩაგვისაფრდეს საქმე, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი რაღაც არ მოხდება და საბოლოოდ ერთმანეთის პირისპირ დავდგებით“.

შემდეგ ჩემპიონმა განაგრძო: „ამ ბრძოლას მთელი მსოფლიო ელის. მაიკიც ამბობს, რომ ჩემთან ჩხუბი ნამდვილად სურს. ერთი სიტყვით, ეს კრივი ორივეს გვინდა და თან წლეულსვე. ამიტომაც, კარგი იქნება თუ ტელეკომპანიები შეიყრებიან და ისე გაურიგდებიან ერთმანეთს, რომ ხალხმა საწადელი აისრულოს, ნახოს ლუისი ტაისონის წინაამდეგ“.

შეგახსენებთ, რომ ლუისი 21 აპრილს, სამხრეთ აფრიკაში ჰასიმ რაჰმანს უნდა ეჩხუბოს, ხოლო ტაისონს 19 მაისს დევიდ აიზონთან აქვს ბრძოლა დანიშნული.

ზემოთ ჩემპიონმა ტელეკომპანიები ახსენა და, როგორც ცნობილია, სწორედ ეს ტელეკომპანიები აჭიანურებენ საქმეს. ერთ მოკრივეს HBO-სთან აქვს კონტრაქტი დადებული, მეორეს „შოუთაიმთან“ და ამიტომაც ჯერ გაუგებარია, რომელმა მათგანმა უნდა გადასცეს ბრძოლის პირდაპირი რეპორტაჟი. არადა, ზემოთ ხომ ვახსენეთ, რამხელა თანხაზეცაა საუბარი.

დაიწყეს კი ტელეკომპანიებმა მოლაპარაკება? თუ HBO-ს წარმომადგენელ კერი დევისს ვენდობით, მათთან „შოუთაიმიდან“ არავინ მისულა და არაფერი შეუთავაზებია. არადა, დაიფარა ხმები, თითქოს ამ ერთი ბრძოლით „შოუთაიმს“ თავისი კლიენტი, ტაისონი, HBO-სთვის უნდა „მიექირავებინა“, რისთვისაც 20 მილიონს წინასწარ მიიღებდა.

„მისტერ ტაისონის ოფიციალური განცხადებებიდან ჩანს, რომ მას არ სურს HBO-ს ეკრანზე იჩხუბოს“ — განაცხადეს სხვებმა. სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ 30 მილიონი დოლარი, რომელსაც მას ამ შემთხვევაში ჰპირდებიან, ეცოტავება.

აქვე აღსანიშნავია ლუისის პოზიციაც. ჩემპიონი თავის წილ თანხას არ ასახელებს, უბრალოდ ამბობს, რომ მას ზუსტად იმდენი სურს, რამდენსაც ტაისონს გადაუხდიან. ერთი სიტყვით, თუ ყველაფერი ისე დარჩა, როგორც ვთქვით, HBO-ს „შოუთაიმისთვის“ 20 მილიონის მიცემა მოუწევს, მოკრივეთათვის კი ჯამში 60-ის. რეალურია?

ცხადია, HBO ბრძოლის ისე მოწყობას შეეცდება, რომ თვითონ ყველაზე ქესატ მხარედ არ დარჩეს. მაშ რა უნდა მოხდეს? ვითომ „შოუთაიმი“ თავის წილს დააკლებს? მაშინ ხომ ლუისმა და ტაისონმაც უნდა დააკლონ?

ცხადია, ამ თემის უფრო ფართოდ გაშუქებაც შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ათასგვარ ვარიანტებსა და ხელშეკრულებებში მოგვიწევდა ჩაღრმავება, ეს კი, ჯობს, ზემოხსენებული ტელეკომპანიების ფინანსისტებს და იურისტებს მივანდოთ, ხოლო ჩვენთვის, ნათელი სურათის შესაქმნელად, რაც ვთქვით, ვფიქრობთ საკმარისია.

დანარჩენი სხვა დროს იყოს, მით უმეტეს, რომ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ მოხდება.

**ტუტა სიხარულიძე**



მაიკ ტაისონი ჯერ დევიდ აიზონთან ჩხუბისთვის ემზადება



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სენტ ლუისი — კოლორადო. მეკარე დევიდ ებიშერმა სენტლუისელ კეიტ ტკაჩუკს არ გაატანინა

REUTERS

# საკიკს ვინ შეეცილება?!

22 მარტი

**ბოსტონი 3:2 მონრეალი**

(1:1 1:1 0:0 1:0)

1:0 ელისონი 22(30), 1:1 ბრისბუა 16(12), 2:1 გერინი 28(37), 2:2 კოიფუ 37(16), 3:2 როლსტონი 63(17)

**ტამპა 0:2 ატლანტა**

(0:0 0:0 0:2)

0:1 ბრიუნეტი 44(13), 0:2 ფერარო 51(28)

**სენტ ლუისი 1:3 კოლორადო**

(0:2 0:0 1:1)

0:1 საკიკი 7(45), 0:2 პეიდუკი 10(41), 1:2 პერტი 43(19), 1:3 ნიემინენი 59(13)

**სან ხოსე 1:2 ოტავა**

(0:1 0:0 1:1)

0:1 ალფრედსონი 17(22), 0:2 იაშინი 41(34), 1:2 მარლო 60(24)

**დეტროიტი 4:2 მინესოტა**

(1:1 1:1 2:0)

1:0 კოზლოვი 15(17), 1:1 სეკერაში 17(11), 1:2 ჰენდრიკსონი 25(16), 2:2 დრეიპერი 27(16), 3:2 დრეიპერი 47(7), 4:2 ლაპოინტი 54(23)

**ჩიკაგო 1:2 ნეშვილი**

(0:1 0:0 1:0 0:1)

0:1 იანჩევსკი 14(16), 1:1 ჰერპერგერი 54(10), 1:2 იტონი 62(3)

**კალგარი 3:1 ფილადელფია**

(0:1 1:0 2:0)

0:1 ტოკეტი 10(4), 1:1 რ. სატერი 34(1), 2:1 სავარი 54(23), 3:1 ლუდმანი 60(2)

კოლორადოს კაპიტანმა და ლიდერმა ჯო საკიკმა კიდევ ერთი შთამბეჭდავი თამაშით დაამტკიცა, რომ წლეულს სეზონის უძვირფასესი მოთამაშის პრიზს ვერავინ შეეცილება. პირველ პერიოდში მან ანგარიში გახსნა, შემდეგ კი დანარჩენი ორი გოლის გატანაში პასებით შეიტანა წვლილი. ასე რომ, კოლორადოს ზედიზედ მეოთხე თამაშის მოგებაში დაეხმარა, რითაც გუნდმა ჩემპიონატის ლიდერობა გაიმყარა. ჯო საკიკმა ბოლო 8 თამაშში 15(8 ქულა, 7 პასი) ქულა მიითვალა და 106 ქულით ბომბარდირთა სიას კვლავ მოექცა სათავეში. არადა, ამჯერად გუნდს ორი ლიდერი, მეკარე პატრიკ რუა და მცველი რობ ბლეიკი აკლდა. ორივემ წინა მატჩში მიიღო ტრავმა, რაც გუნდისთვის თითქოს დიდი დანაკლისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, წლეულს „ვულკანში“ ისე დამაჯერებლად თამაშობს, რომ ლიდერების არყოფნა სულაც არ ეტყობა.

აქ პეტერ ფორსბერგის დამსახურებაზეც უნდა ითქვას. „როცა პეტერი დაგვაკლდა, აშკარად გაგვიჭირდა ბოლო 40 წუთი მეტოქე გვჯობდა“ — თავად საკიკმაც აღიარა, რომ პარტნიორის გარეშე მასაც გაუჭირდა. ეს კი პირველი პერიოდის მიწურულს მოხდა. შველმა ტაისონ ნეშთან შეჯახებისას ხელი დაიზიანა, მაგრამ მანამდე თავისი საქმე გააკეთა. თუ საკიკი გუნდის სულისჩამდგმელია, ნებისმიერ სიტუაციაში შეუცვლელი და ნაყოფის მომტანი, ფორსბერგს რიცხვმრავლობაში არ ჰყავს ბადალი. ამიტომაც სენტ ლუისს წესების დარღვევა ასე ძვირად დაუჯდა. ორჯერ მოხვდნენ სტუმრები რიცხვმრავლობაში და ორჯერვე უზუსტესი პასებით მოამარაგა შველმა პარტნიორები — ჯერ საკიკი ახეირა, მერე კი მისივე წამოწყებული კომბინაცია გააგრძელა და მილან ჰეიდუკს გაატანინა. ეს ორშაიბიანი უპირატესობა კი გამარჯვებისთვის საკმარისი გამოდგა. მართალია, საკიკის არ იყოს, მასპინძლები მეორე და მესამე პერიოდში უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ მეკარე დევიდ ებიშერმა და მცველებმა „ბლუზმენებს“ მხოლოდ ერთი საპასუხო გოლის გატანის საშუალება მისცეს.

აი, ფილადელფიას კი პირიქით დაემართა. სანამ გუნდს ორი წამყვანი მოთამაშე — ჯონ ლეკლერი და სიმონ განიე აკლდა (თანაც პირველმა პრაქტიკულად მთელი სეზონი გამოტოვა), კეიტ პრიმო და მარკ რეკი ორმაგი ენერგიით ირჯებოდნენ, სასურველ შედეგსაც აღწევდნენ, მაგრამ როგორც კი კალგარისთან მორიგი მატჩის წინ ცნობილი გახდა, რომ ორივე დაშავებული გამოჯანმრთელდა და შაბათს თამაშს შეძლებს, ბიჭები ოდნავ მოეშვნენ. „მფრინავთა“ თავდასხმა ძველებურად მრისხანედ აღარ გამოიყურებოდა. მეორე პერიოდში გუნდმა მხოლოდ 1 დარტყმა (!) განახორციელა, კალგარიმ კი ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენა, თანაც თავი სატერების ცნობილი დინასტიის წარმომადგენელმა ისახელა. ერთხანს ლიგაში 6 ძმა თამაშობდა, ახლა კი ერთ-ერთი მათგანი, ბრაიანი, სან ხოსეს უძღვება, მეორე — რონი კი ერთწლიანი პაუზის შემდეგ ნჰლ-ს დაუბრუნდა, ამ მატჩში სეზონში პირველი გოლი და პასი მიითვალა, რითაც გუნდის ახალ მწვრთნელ გრეგ გილბერტს პირველი მოგება მოუტანა. წინა კვირას „ალებმა“ თავკაცი დონ ჰეი დაითხოვეს (მან 7 თვე იმუშავა) და ამ პოსტზე მისი ასისტენტი გილბერტი დანიშნეს.

ბრაიან სატერს კი ამ დღეს ბედმაც უმტყუნა და შეგირდებმაც. ვერა და ვერ მოეძებნა ტეემუ სელიანეს ადგილი და პარტნიორები. ფინელს ხან ერთ ფრთაზე ამწესებენ, ხან — მეორეზე. პარტნიორებიც არაერთხელ გამოეცვალა, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. აგერ უკვე ხუთი მატჩია, ტეემუ გოლს ვერ იტანს (1 პასი გააკეთა). გუნდიც კვლავ არადამაჯერებელი იყო შეტევაში. მართალია, სანხოსელები ხშირად უტევდნენ, 33 დარტყმა განახორციელეს, მაგრამ ოტაველთა მეკარე იანი ჰურმეს მაინცდამაინც ბევრი სამუშაო არ ჰქონდა. ბოსტონის თავკაცმა მაიკ კინენმა კი შეტევა გააძლიერა — რიცხვმრავლობის ბრიგადებში მან ფორვარდი ბრაიან როლსტონი მცველის ადგილზე გადაიყვანა და ძლიერი დარტყმის პატრონი ჰოკეისტის ორმა გასროლამ „დათვებს“ ორი ქულა მოუტანა — ჯერ მისი დარტყმის შემდეგ ჯეისონ ელისონმა ისეირა დამატებაზე, შემდეგ კი ოვერტაიმში თავად ბრაიანმა გაიტანა.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ამბავი პიტსბურგის ბანაკიდან: როგორც მარიო ლემიემ განაცხადა, მომდევნო სამ-ოთხ თამაშში ის და იაროմირ იაგრი სხვადასხვა სამეულში იასპარეზებენ და მხოლოდ რიცხვმრავლობაში შეამხანაგდებიან. ამით ლემიე ერთი სუპერსამეულის ნაცვლად ორი ძლიერის ჩამოყალიბებას შეეცდება. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „პინგვინებს“ კიდევ ერთი, ალექსეი კოვალიოვ-მარტინ სტრაკა — რობერტ ლანგის ტრიო ჰყავს, სულაც არ იქნება ძნელი იმის მიხვედრა, რომ გუნდის შეტევა კიდევ უფრო მრისხანე და სახიფათო გახდება.

**სამველ ლარიბიანი**





იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# ინდოო და ჩოგანი


REUTERS დელიდან

აბა, თუ გსმენიათ, რომ ინდოეთი ჩოგბურთში წარმატებული იყოს. ახლა სხვა დროა. ინდო ჩოგბურთელმა ლეანდერ პაესმა (მარცხნივ) სიდნეის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიგო, დიდი სლემის ტურნირებზე კი ორჯერ გაიმარჯვა წყვილთა შეჯიბრში. ჰოდა, ისა და მისი მეწყვილე მაჰეშ ბჰუპატი ინდოეთის პრეზიდენტ ნარაიანანის ქვეყნის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდოთი, „პადმა შრით" დაუფასებია.

# მაინც იმარჯვეს

და მაინც ინდოებმა იმარჯვეს კრიკეტის სამტესტა სერიაში ავსტრალიელთა წინააღმდეგ. სერიის ანგარიში 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ. ბოლო, გადამწყვეტი ტესტი მადრასში იყო და ნახეთ, რა დინჯი სიამაყე გამოსჭვივის მოგებულია თვალებიდან. საჩინ ტენდულკარი, შივ სუნდარ დასი და რაჰულ დრავიდი (თასით ხელში) ხარობენ.


AP მადრასიდან


REUTERS სან ხუანიდან

# პირველი ესპანური

მსოფლიო კრივის ისტორიაში მძიმე წონის პირველი ესპანური წარმოშობის ჩემპიონი ჯონი რუისი წინაპართა მიწაზე ჩასულა. ევანდერ ჰოლიფილდის მძლეველი რუისი კოსტა რიკის დედაქალაქ სან ხუანს სწვევია თავის დედასთან, გლედის მარტინესთან ერთად. რაღა თქმა უნდა, საქმეთა მჩარხავი დონ კინგიც იქა ყოფილა.

# რუსი, რუსი და... კატარინა




REUTERS ვანკუვერიდან

ვანკუვერში კი კვლავ ზეიმი და ცრემლებია. ფიგურული ციგურაობის მსოფლიო ჩემპიონატზე კაცთა პროგრამამ ზოგს სიხარული მოუტანა, ზოგსაც იმედგაცრუება. ყინულის ლეგენდა კატარინა ვიტი გულით სწუხს, რახან უყურებს, როგორ წაუცდა ფეხი მის თანამემამულე შტეფან ლინდემანს. მოწინავე სამეული კი საჩემპიონო ფოტოს მოლოდინშია: ვერცხლის მედალოსანი რუსი ალექსეი იაგუდინი შექნილა, ჩემპიონი ასევე რუსი ევგენი პლუშჩენკო, ბრინჯაო კი ამერიკელ ტოდ ელდრიჯს ხვდომია.

# დღეს დუბაიში ამბავია

აჰა, ეს შაბათი გამორჩეულია დუბაის საამიროში. დღეს განთქმული დუბაის დოღია, მსოფლიოში უდიდესი საპრიზო ფონდით — ექვსი მილიონი დოლარით. დუბაის შეიხი და გაერთიანებული საამიროების თავდაცვის მინისტრი მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქთუმი თავის ძველ მეგობრებს, განთქმულ ჟოკეებს ხვდება. აგე, სახელოვან ალან ლევინს არაბულ თავსარქმელსაც არგებს.


REUTERS დუბაიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge